პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КОМПАРТИИ ГРУЗИИ И СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 34 (9502) | სამშაბათი, 10 თებერვალი, 1953 წ. | ფასი 20 კაპ.

დღეს გაზეთში

უზრუნველვყოთ შესრულების სისტემატური, ქმედითი შემოწმება — მოწინავე.

კომუნიზმის დიადი მშენებლობანი საყოველთაო-სახალხო საქმეა (1-ლი გვერდი).

სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში (1-ლი გვერდი).

პროპაგანდისტისა და აგიტატორის დასახმარებლად. ზ. რატიანი. — ლენინ — სტალინის პარტია საბჭოთა საზოგადოების ხელმძღვანელი და წარმმართველი ძალაა (მე-2 გვერდი).

მზადება აღგილობრივი საბჭოების არჩევნებისათვის.

ნ. ჯანჯღავა — აგიტპუნქტი ამ დღეებში. ა. კუსრაშვილი — ნიჭიერი ახალგაზრდა მსახიობი (მე-3 გვერდი).

დ. თორაძე — მუსიკალური ხელოვნების აღმავლობისათვის (მე-3 გვერდი).

ს. ლომკაცი, ს. ქორჩილაძე — როგორ მოიყვანეს ჰექტარზე 102,2 ცენტნერი ყურძენი (მე-3 გვერდი).

სრულიად ჩინეთის სახალხო პოლიტიკური საკონსულტაციო საბჭოს კომიტეტის სესიაზე მაო ძე-დუნის გამოსვლა (მე-3 გვერდი).

უცხოეთის ინფორმაციები (მე-4 გვერდი).

უზრუნველვყოთ შესრულების სისტემაჯური, ქმედითი შემოწმება

ჩვენი პარტიის XIX ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებებში, ამხანაგ სტალინის გენიალურ ნაშრომში „სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში“ დასახულია კომუნიზმის მშენებლობის გრანდიოზული ამოცანები. ამ ამოცანების წარმატებით განხორციელებისათვის ბრძოლა მოითხოვს უფრო მაღალ დონეზე ავიყვანოთ პარტიულ-ორგანიზაციული მუშაობის დონე.

პარტიის წინაშე დასახული მთავარი ამოცანების წარმატებით განხორციელება დამოკიდებულია ორგანიზაციულ მუშაობაზე, ადამიანების სწორად შერჩევაზე, გადაწყვეტილებათა შესრულების შემოწმებაზე. ორგანიზაციულ მუშაობაში მთავარია ადამიანთა შერჩევა და შესრულების შემოწმება. კარგი გადაწყვეტილება საქმის მხოლოდ დასაწყისია. სწორი ხელმძღვანელობის საფუძველი ის კი არ არის, რომ გადაწყვეტილებები მიიღო, არამედ ის, რომ უზრუნველყო ამ გადაწყვეტილებათა შესრულება, უზრუნველყო სიტყვისა და საქმის, გადაწყვეტილებისა და შესრულების ერთიანობა.

„შესრულების კარგად დაყენებული შემოწმება, — გვასწავლის ამხანაგი სტალინი, — ეს ის პროექტორია, რომელიც გვეხმარება გავაშუქოთ აპარატის მუშაობის მდგომარეობა ყოველ დროს და დღის სინათლეზე გამოვიყვანოთ ბიუროკრატები და კანცელარისტები. შეიძლება დარწმუნებით ითქვას, რომ ჩვენი ხარვეზებისა და გარღვევების ცხრა მეათედი აიხსნება შესრულების სწორად დაყენებული შემოწმების უქონლობით. ეჭვს გარეშეა, რომ შესრულების ასეთი შემოწმების დროს ხარვეზები და გარღვევები უთუოდ თავიდან იქნებოდა აცილებული“.

ასრულებენ რა დიდი სტალინის ამ ბრძნულ მითითებას, ჩვენი რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციები სულ უფრო აუმჯობესებენ ორგანიზაციულ მუშაობას, უკეთ აწყობენ ადამიანთა შერჩევას და შესრულების შემოწმებას. მაგრამ ზოგიერთი ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციის მუშაობაში ადამიანთა შერჩევა და შესრულების შემოწმების საქმე ჯერ კიდევ არადამაკმაყოფილებლად არის დაყენებული. ბევრი რიგი პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანიზაციების მუშაობის დიდი ნაკლი ის არის, რომ მათ ვერ უზრუნველყვეს პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საკუთარ გადაწყვეტილებათა შესრულების ორგანიზაცია, დაივიწყეს, რომ ადამიანთა შერჩევა და შესრულების შემოწმება ხელმძღვანელობის ძირითადი პრინციპებია.

სწორედ ასე მოუვიდა პარტიის თბილისის ორგანიზაციის 26 კომისრის რაიკომს. შემოწმებით გამოირკვა, რომ რაიკომმა ვერ უზრუნველყო სიტყვისა და საქმის, გადაწყვეტილებისა და შესრულების ერთიანობა. ორგანიზაციული მუშაობის ჩამორჩენამ სერიოზული ნაკლოვანებები წარმოშვა რაიონული კომიტეტის საქმიანობაში. დამახასიათებელია, რომ უკანასკნელი თვეების მანძილზე რაიკომის ბიურომ მხოლოდ ერთხელ განიხილა საკითხი საკუთარ გადაწყვეტილებათა შესრულების შესახებ, მაშინ როცა მის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებაში სპეციალურად არის გათვალისწინებული მუხლი შესრულების შემოწმების შესახებ და ამასთან დაწესებულია შემოწმების ვადები. მაგრამ ეს გადაწყვეტილება ქაღალდზე დარჩა.

პარტიის XIX ყრილობამ ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანად დასახა ყოველმხრივ გავაძლიეროთ კონტროლი და შესრულების შემოწმება ხელმძღვანელობის მთელ სისტემაში, უკლებლივ ყველა ორგანიზაციისა და დაწესებულების მუშაობაში. მუშაკები უნდა შემოწმდეს არა მათი დაპირებებისა და დეკლარაციების მიხედვით, არამედ მათი მუშაობის შედეგების მიხედვით. დავალებათა და გადაწყვეტილებათა შესრულების შემოწმება ნიშნავს უწინარეს ყოვლისა მათს შემოწმებას მუშაობის ადგილას შესრულების ფაქტიური შედეგების მიხედვით. ცოტა როდია ამის მაგალითი, როცა კარგი მუშაკებიც კი, რომლებიც საკუთარ თავს ამრიან მინდობილნი და რომელთა საქმიანობას კონტროლს არ უწევენ და არ ამოწმებენ, ფუჭდებიან და ბიუროკრატდებიან. გამოცდილება გვიჩვენებს, რომ კარგი გადაწყვეტილებაც კი, თუ უზრუნველყოფილი არ არის მისი შესრულების სისტემატური, ქმედითი შემოწმება, განუხორციელებელი რჩება და ფარატინა ქაღალდად იქცევა.

შესრულების შემოწმება ცოცხალი, პრაქტიკული საქმიანობაა. არ შეიძლება შევურიგდეთ ბიუროკრატიულ, ფორმალურ მიდგომას შესრულების შემოწმების საქმისადმი, როგორც ეს, მაგალითად, თბილისის საკონდიტრო ფაბრიკის პარტიულ ორგანიზაციაში ხდება. ამ რამდენიმე ხნის წინათ პარტიულმა განიხილა საკითხი ფაბრიკის კაპიტალური რემონტისათვის მზადების შესახებ, დასახა სათანადო ღონისძიებანი და გადაწყვიტა 20 დღის შემდეგ მოესმინა საწარმოს დირექტორის მოხსენება სარემონტო სამუშაოთა მიმდინარეობაზე. იმის ნაცვლად, რომ მეორე დღიდანვე შესდგომოდა საკუთარი გადაწყვეტილების შესრულებისათვის ზრუნვას, პარტბიუროს მხოლოდ თვენახევრის შემდეგ მოაგონდა, რომ საჭიროა მის მიერ მიღებული დადგენილების შესრულების შემოწმება. პარტბიუროს სხდომაზე გამოირკვა, რომ გადაწყვეტილება შესრულებული არ არის, და მიიღეს კიდევ ერთი ახალი დადგენილება, რომელიც კვლავ განუხორციელებელი დარჩა.

სწორი ხელმძღვანელობა იმას ნიშნავს, რომ მოვაწყოთ შესრულების სისტემატური შემოწმება, ბოლომდე მივიყვანოთ დაწყებული საქმე. შესრულების შემოწმების მიზანი ის არის, რომ ვამხილოთ ნაკლოვანებანი, გამოვავლინოთ მუშაობის შეცდომები და დამახინჯებები, დავეხმაროთ პატიოსან მუშაკებს რჩევით, დავსაჯოთ კონკრეტული დამნაშავენი, შევისწავლოთ და განვაზოგადოთ მოწინავეთა გამოცდილება და ამის საფუძველზე უზრუნველვყოთ დასახული ამოცანის წარმატებით გადაწყვეტა.

შესრულების შემოწმებამ მიზანს რომ მიაღწიოს, ამისათვის საჭიროა იგი უპირველეს ყოვლისა იყოს სისტემატური და არა ეპიზოდური, ქმედითი და არა ფორმალური; მეორე, საჭიროა შესრულების შემოწმებას ახორციელებდნენ არა მეორეხარისხოვანი პირები, არამედ საკმარისად ავტორიტეტული ადამიანები, — თვით ორგანიზაციის ხელმძღვანელები. აუცილებელია შესრულების ზემოდან შემოწმების შეხამება პარტიული და უპარტიო მასების მხრივ ქვემოდან შემოწმებასთან. შესრულების შემოწმება მხოლოდ მაშინ იქნება სისტემატური და ქმედითი, როცა მასში მონაწილეობას მიიღებენ მშრომელთა თართო მასები, პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციები, ადგილობრივი საბჭოების აქტივი. სწორედ შესრულების ასეთი შემოწმებისას შეიქმნება ისეთი ვითარება, რომლის დროსაც უზრუნველყოფილი იქნება მუშაობის ნაკლოვანებათა აღმოფხვრა, ცენტრის დირექტივებისა და საკუთარ გადაწყვეტილებათა დროზე და ზუსტად შესრულება.

გადაწყვეტილების შესრულებას, მის შემოწმებას ახორციელებენ კადრები, ცოცხალი ადამიანები. ამიტომ შესრულების შემოწმება განუყრელად დაკავშირებულია კადრების შერჩევისა და განაწილების საქმის გაუმჯობესების ამოცანასთან. შესრულების შემოწმებამ ხელი უნდა შეუწყოს იუდი. უვარგისი, ჩამორჩენილი, უპატიოსნო მუშაკების გამოაშკარავებას და შეცვლას, ახალი ადამიანების აღზრდასა და დაწინაურებას, რომელთა სიტყვა საქმეს არ შორდება და რომლებიც ყველაფერზე მაღლა აყენებენ პარტიის, სახელმწიფოს ინტერესებს.

განუხრელი ზრუნვა ადამიანთა შერჩევისათვის, შესრულების შემოწმების სწორად დაყენება გააძლიერებს პარტიული ორგანიზაციების ბრძოლისუნარიანობას, უფრო მჭიდროდ დააზამავს კომუნისტებს და მშრომელთა ფართო მასებს XIX ყრილობის გადაწყვეტილებათა, დიდი სტალინის გენიალურ წინასწარდასახულობათა წარმატებით განხორციელებისათვის საბრძოლველად.

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

აკადემიკოს ზ. რ. ნეედლის ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ

ჩეხოსლოვაკიის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის, ჩეხოსლოვაკია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის კავშირის თავმჯდომარის აკადემიკოს ზ. რ. ნეედლის დაბადების 75 წლისთავთან დაკავშირებით და ჩეხოსლოვაკია-საბჭოთა კავშირის მეგობრობისა და კულტურული თანამშრომლობის განმტკიცების საქმეში მისი თვალსაჩინო დამსახურებისათვის, აკადემიკოსი ზდენეკ რომანის-ძე **ნეედლი** დაჯილდოებულ იქნას **ლენინის** ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნ. შვერნიკი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ა. გორკინი.

მოსკოვი, კრემლი. 1953 წ. 9 თებერვალი.

კომუნიზმის დიადი მშენებლობანი საყოველთაო-სახალხო საქმეა

კუიბიშევის ჰიდროკვანძის სანაოსნო სისტემა

დაბა კომსომოლსკი (კუიბიშევის ოლქი), 7 თებერვალი, (საკდესი). ვოლგის ზემოწელში კუიბიშევის ზღვისაკენ მიმავალი გემები, სანამ ჰიდროელექტროსადგურის ბეტონის წყალსაშვებ კაშხალამდე მივიდოდნენ, მარჯვნივ გაუხვევენ და შევლენ ჰიდროკვანძის სანაოსნო სისტემაში, რომელიც შედგება ორი რაბისა და შემაერთებელი და წყალსაგდები არხებისაგან. დიადი მშენებლობის ამ მნიშვნელოვან უბანზე უნდა შესრულდეს კოლოსალური მოცულობის სამუშაოები: გადამუშავდეს 20 მილიონზე მეტი კუბური მეტრი გრუნტი, რაბებში და სხვა ჰიდროტექნიკურ ნაგებობებში ჩაისხას თითქმის 1.700 ათასი კუბური მეტრი ბეტონი.

ჯერ კიდევ 1951 წლის გაზაფხულზე აქ, ვოლგის ნოლაში, ჭაობიანი, ლელმორეული დაბლობი იყო. იმავე წლის ივლისში მძლავრმა მიწისმწოვებმა მანქანებმა დაიწყეს ზღუდარის ამოვსება, რათა ქვემო რაბის სამშენებლო მოედანი დაეცვათ გაზაფხულის წყალდიდობისაგან. იმავე დროს შეუდგნენ ჰიდროტექნიკური ნაგებობის ქვაბულის დამუშავებას.

ჰიდრომექანიზატორთა თავდადებულმა მუშაობამ შესაძლებლობა შექმნა მომზადებული შეხვედროდნენ 1952 წლის წყალდიდობას. მაღალ მიწაყრილში, რომელიც ფართო ნახევარწრედ აქვს შემოვლებული ქვემო რაბს, ჩაიყარა მილიონნახევარ კუბურ მეტრზე მეტი გრუნტი.

ქვემო რაბის ქვაბული ახლა ჰგავს სიგრძეზე გაზიდულ გიგანტურ თასს, რომელსაც გარს არტყია სილრმის წყალსაშვების ჭაბურღილები. ასეთი თასის ფსკერის ამოსაშრობად წყლის ამომწურავებმა ვოლგის ნოლაში გადაუშვეს 25 მილიონზე მეტი კუბური მეტრი წყალი.

მარცხენა ნაპირის ჰიდროტექნიკურ რაიონში დიდი მუშაობა შესრულდა მშენებლობის ზურგის მოსამზადებლად. საექსპლოატაციოდ გადაეცა ბეტონის დიდი ავტომატიზებული ქარხანა, სარემონტო-მექანიკური სახელოსნოები და სხვა დამხმარე საწარმოები. შენდება საარმატურო ქარხანა, რომელმაც უკვე დაიწყო ქვემო რაბისათვის პროდუქციის გამოშვება.

გაძლიერებული ტემპით წარმოებს ბეტონის ჩასხმა რაბის კამერის ფსკერში. მშენებლები იყენებენ ზამთარში დაბეტონების უახლეს მეთოდებს. მუშაობა წარმოებს სათბობებში, ფართოდ იყენებენ ელექტროგათბობას და ბლოკების ელექტროგახურებას.

ქვემო რაბში გემის გადამეტებით უკვე ჩასხმულია რამდენიმე ათასი კუბური მეტრი ბეტონი.

ტახია-ტაშის ჰიდროკვანძის მშენებლობაზე

ტახია-ტაში, 7 თებერვალი. (საკდესი). ფართოვდება სამუშაოთა მასშტაბი ტახია-ტაშის ჰიდროკვანძის სამშენებლო მოედანზე. მრავლდება ასაგები ობიექტების რაოდენობა, ფართოვდება სამშენებლო უბნების საზღვრები.

კვლავ ყურადღების ცენტრშია წრიული არხის რაიონი. სკრეპერებისა და ბულდოზერების კოლონები, რომლებიც გრუნტისზედა ფენას იღებენ, უკვე მივიდნენ უკანასკნელ პიკეტებამდე, რომელთა იქითაც იწყება ძირითადი სანაოსნო მაგისტრალის ტრასი.

წრიულ არხთან, ამუ-დარიის მახლობლად, განუწყვეტლივ ისმის აფეთქებათა ხმა. ამფეთქებელთა ბრიგადები ამსხვრევენ ყინულს და უზრუნველყოფენ ჰიდრომექანიზატორთა სამუშაო ფრონტს. წრიული არხის კალაპოტიდან გრუნტის ამოღება დაიწყო მიწისმწოვმა „სორმოვიჩ-12“. სანგრევში ჩადგა მიწისმწოვი მანქანა „303“.

დიდი მუშაობა ჩაღდება ტახია-ტაშის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში, სადაც შენდება მძლავრი თბოელექტროსადგური. სადგურის მთავარი კორპუსის ქვაბული ძირითადად ამოთხრილია. მშენებლობის დასაჩქარებლად გაძლიერებული ტემპით ამონტაჟებენ დროებითს ბეტონის ქარხანას. მოდის მოწყობილობა თბოელექტროსადგურისათვის. მოვიდა პირველი ათი ვაგონი საქვაბე მოწყობილობა, რომელიც ვადამდე დაამზადა ბარნაულის ქვაბის ქარხნის კოლექტივმა.

ტახია-ტაშის კონცხზე წარმოებს მუშაობა საკაბელო ამწის ასაგებად. ორ კოშკს შუა გაჭიმულ ფოლადის გვარლზე იმოძრავებს სატვირთო და სამგზავრო კაბინები. საკაბელო ამწის კოშკების საძირკველი უკვე ჩაიყარა ამუ-დარიის მარჯვენა და მარცხენა ნაპირებზე.

ჰიდროკვანძის სამშენებლო მოედანზე ზედიზედ მოდის ლითონის კონსტრუქციებით, სხვადასხვა მანქანითა და ასაწყობი სახლების დეტალებით დატვირთული ეშელონები. მოსულ შემადგენლობათა გადმოსატვირთავად მოიტანეს მძლავრი სარკინიგზო ამწეები.

სოციალისტური შეჯიბრების პირობები მსუბუქ მრეწველობაში

საკავშირო პროფსაბჭომ და სსრ კავშირის მსუბუქი მრეწველობის სამინისტრომ იმ ამოცანების საფუძველზე, რომლებიც პარტიის XIX ყრილობამ დაუსახა მსუბუქ მრეწველობას, გადასინჯეს მოწინავე საწარმოსათვის გაშლილი სოციალისტური შეჯიბრების პირობები.

შეჯიბრებაში გამარჯვებულად ჩაითვლებიან იმ საწარმოთა კოლექტივები, რომლებიც არა მარტო შეასრულებენ საერთო პროდუქციის, ნატურით და გათვალისწინებული ასორტიმენტით ნაწარმის გამოშვების გეგმას, არამედ აგრეთვე უზრუნველყოფენ რიტმულ მუშაობას საანგარიშო კვარტალის დეკადების მიხედვით, მაქსიმალური გადამეტებით შეასრულებენ პირველი ხარისხის პროდუქციის გამოშვებისა და სხვა ხარისხობრივი მაჩვენებლების გეგმას.

მოწინავე საწარმომ ამასთან უნდა მიიღოს ნედლეულის, მასალების, ნახევარფაბრიკატების, სათბობისა და ელექტროენერგიის მაქსიმალური ეკონომია, გადაჭარბებით შეასრულოს შრომის ნაყოფიერებისა და მოწყობილობის წარმადობის, პროდუქციის თვითღირებულების შემცირების გეგმა და სხვ.

საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების შედეგების შეჯამებისას აუცილებლად გათვალისწინებულ უნდა იქნას შრომის დისციპლინის მდგომარეობა საწარმოში, მოწინავე ტექნიკის, ახალ სახეობათა პროდუქციის დანერგვის, შრომატევადი პროცესების მექანიზაციის გეგმების შესრულება, წარმოების ნოვატორთა შრომის მეთოდების, რაციონალიზატორულ წინადადებათა და გამოგონებათა გამოყენება. (საკდესი).

სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში

რუმინეთში სწავლობენ ი. ბ. სტალინის შრომას— „სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში“

ბუქარესტი, 9 თებერვალი. (საკდესი). რუმინეთის მუშათა პარტიის ცენტრალურ კომიტეტთან მოეწყო რუმინეთის უმაღლესი სასწავლებლების საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრების პროფესორ-მასწავლებელთა შემადგენლობის 10-დღიანი სემინარი, რომელიც მიეძღვნა ამხანაგ ი. ბ. სტალინის გენიალური შრომის „სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში“ შესწავლას.

სემინარის მონაწილეთათვის წაკითხულ იქნა ლექციები: „ი. ბ. სტალინის გენიალური შრომისა და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XIX ყრილობის დოკუმენტების შესწავლა და მტკიცედ შეთვისება აუცილებელი პირობაა უმაღლეს სასწავლებლებში სწავლების დონის ამაღლებისათვის“, „ი. ბ. სტალინი სოციალიზმის დროს ეკონომიკური კანონების ობიექტური ხასიათის შესახებ“, „ი. ბ. სტალინის მოძღვრება სასაქონლო წარმოების შესახებ და ღირებულების კანონის შესახებ სოციალიზმის დროს“, „ი. ბ. სტალინის მოძღვრება სოციალიზმის ეკონომიკური საფუძვლების მშენებლობის შესახებ ახალგაზრდა ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის აშენების საქმეში“, „ი. ბ. სტალინი კომუნიზმში გადასვლის მომზადების პირობების შესახებ სსრ კავშირში“, „რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის ისტორიის დარგში კვლევის ზოგიერთი საკითხი ი. ბ. სტალინის შრომის „სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში“ მიხედვით“, „ი. ბ. სტალინი მსოფლიო კაპიტალისტური სისტემის საერთო კრიზისის გაღრმავების შესახებ“, „მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობა ამხანაგ ი. ბ. სტალინის სიტყვისა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XIX ყრილობაზე“.

რუმინეთის მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა იოსებ კიშინევსკიმ სემინარზე წაიკითხა მოხსენება „რუმინეთის უმაღლესი სასწავლებლების საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრების აქტიალური ამოცანები ი. ბ. სტალინის გენიალური შრომის „სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში“ მიხედვით.“ მომხსენებელმა განსაზღვრა საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრების მეცნიერული და პედაგოგიური მოღვაწეობის კონკრეტული პროგრამა, ხაზგასმით აღნიშნა მასწავლებლებისა და ლექტორების უდიდესი როლი მშრომელებს შორის გენიალური სტალინური მოძღვრების გავრცელებაში.

—⊙—

ვარშავის მშენებლობებზე

ვარშავა, 6 თებერვალი. (საკდესი). ვარშავის მშენებლებმა მორიგი გამარჯვება მოიპოვეს. ყველა სამშენებლო უბანმა წარმატებით დაამთავრა იანვრის საწარმოო გეგმა. ყველაზე დიდი წარმატებები მოიპოვეს შეტალურგიული ქარხნის „ვარშავის“ მშენებლებმა, რომლებმაც 105,8 პროცენტით შეასრულეს იანვრის გეგმა. ვარშავის მეტრომშენებლებმა 100,3 პროცენტით შეასრულეს გეგმა. ქალაქის მშრომელებმა იანვარში ბევრი ახალი საცხოვრებელი სახლი მიიღეს.



პრაღაში საზეიმო ვითარებაში გაიხსნა ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის მუზეუმი, რომელიც შექმნილია ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და მთავრობის ინიციატივით. მუზეუმი გახსნილია გიბერნის ქუჩაზე, სახალხო სახლში, სადაც მიმდინარეობდა რსდმპ სრულიად რუსეთის ისტორიული მეექვსე კონფერენცია. სურათზე ვ. ი. ლენინის მუზეუმი პრაღაში.

ფოტო ჩეხოსლოვაკიის დეპეშათა სააგენტოსი.

○ ○ ○

ჩეხოსლოვაკია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის ერთთვიურის შედეგები

პრაღა, 7 თებერვალი. (საკდესი). გუშინ პრაღაში გაიმართა ჩეხოსლოვაკია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის კავშირის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის სხდომა ეროვნული ფრონტისა და სახელმწიფო დაწესებულებათა წარმომადგენლების მონაწილეობით.

სხდომის მონაწილეებმა მოისმინეს და განიხილეს ჩეხოსლოვაკია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის კავშირის თავმჯდომარის მოადგილის, საგარეო საქმეთა მინისტრ ვაცლავ დავიდის ინფორმაცია ჩეხოსლოვაკია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის ერთთვიურის შედეგების შესახებ, რომელიც მოეწყო 1952 წლის დამლევს.

ჩეხოსლოვაკია — საბჭოთა კავშირის მეგობრობის ერთთვიურს, თქვა დავიდმა, განსაკუთრებული ამოცანები ჰქონდა, რომლებიც რესპუბლიკის პრეზიდენტმა კლემენტ გოტვალდმა აღნიშნა თავის სიტყვაში ჩეხოსლოვაკია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის კავშირის დელეგაციის მიღების დროს გასული წლის 6 ნოემბერს. მეგობრობის ერთთვიურის ფართო შესავალი იყო ოქტომბრის რევოლუციის 35-ე წლისთავის გამო გამართული გრანდიოზული ზეიმი, რომელშიც მონაწილეობა მიიღო თითქმის სამმა მილიონმა ჩვენმა მოქალაქემ.

პრაღაში გამართული მრავალათასიანი მიტინგის დროს დაიწყო ტრადიციული ესტაფეტი, რომელიც მშრომელებს ყოველ წელიწადს მიაქვთ ჩვენი სამშობლოს ყველა კუთხიდან საბჭოთა კავშირის საზღვრისაკენ, რათა საბჭოთა ხალხის წარმომადგენლებს გადასცენ „მშვიდობისა და მეგობრობის წერილი“. არახელსაყრელი ამინდის მიუხედავად, 1952 წლის ესტაფეტში მონაწილეობდა 950 ათასამდე მორბენალი — თითქმის ერთიორად მეტი, ვიდრე 1951 წელს, და ორ მილიონზე მეტი დემონსტრანტი.

დავიდმა აღნიშნა, რომ ერთთვიურის შესანიშნავი მოვლენა იყო ჩეხოსლოვაკიაში საბჭოთა სტუმრების — საბჭოთა კულტურის მოღვაწეთა დელეგაციის, საქართველოს სსრ ხალხური ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის და საბჭოთა სპორტსმენების ყოფნა. საბჭოთა კულტურის მოღვაწეთა დელეგაციამ, რომელიც ჩეხოსლოვაკიაში სამ კვირას იყო, მოაწყო 130-ზე მეტი საუბარი, ლექცია და მოხსენება 35 ათასი კაცის მონაწილეობით.

საქართველოს სსრ ხალხური ცეკვის სახელმწიფო ანსამბლმა გამართა 33 კონცერტი, რომლებსაც დაესწრო 70 ათასზე მეტი მაყურებელი. საბჭოთა სპორტსმენების გამოსვლებს დაესწრო 12 ათასზე მეტი მაყურებელი.

ამავე დროს მოეწყო საბჭოთა წიგნისა და ბეჭდვითი სიტყვის ერთთვიური. გაიხსნა საბჭოთა ლიტერატურის ათასობით გამოფენა, მოეწყო ბევრი საუბარი მკითხველებთან საბჭოთა წიგნების შესახებ. ერთთვიურის დროს წარმატებით მიმდინარეობდა რუსული ენის სახალხო კურსების მსმენელთა შეგროვება. 31 დეკემბრისათვის მოეწყო 16 ათასზე მეტი რუსული ენის შემსწავლელი წრე, რომლებშიც შედის 250 ათასზე მეტი მსმენელი.

მეგობრობის ერთთვიურის დიდი მოვლენა იყო საერთო სახელმწიფო კონფერენცია რუსული ენის მნიშვნელობის შესახებ.

ერთთვიურის დროს კავშირში შევიდა 200 ათასზე მეტი ახალი წევრი და ამრიგად კავშირის წევრთა საერთო რაოდენობა ახლა უახლოვდება 2,5 მილიონს.

ვაცლავ დავიდის ინფორმაციის გამო გაიმართა კამათი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ეროვნული ფრონტის ორგანიზაციების წარმომადგენლებმა, აგრეთვე ჩეხოსლოვაკია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის კავშირის თავმჯდომარემ აკადემიკოსმა ზდენეკ ნეედლიმ.

სხდომის მონაწილეთ მიესალმა სსრ კავშირის ელჩი ჩეხოსლოვაკიაში ა. ე. ბოგომოლოვი.

უნგრეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის ერთთვიურისათვის მზადება უნგრეთში

ბუდაპეშტი, 8 თებერვალი. (საკდესი). მთელ უნგრეთში მიმდინარეობს მზადება უნგრეთ-საბჭოთა კავშირის საზოგადოების მე-2 ყრილობისა და უნგრეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის ერთთვიურისათვის. ყრილობა გაიხსნება 14 თებერვალს, ერთთვიური დაიწყება 18 თებერვალს — საბჭოთა კავშირსა და უნგრეთის სახალხო რესპუბლიკას შორის მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების ხელშეკრულების ხელმოწერის მეხუთე წლისთავზე.

უნგრეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის ერთთვიურის დროს გაიხსნება საბჭოთა კავშირისადმი მიძღვნილი გამოფენები, გაიმართება ლექციები და საუბრები სსრ კავშირში კომუნიზმის მშენებლობებზე, საბჭოთა ხალხის ცხოვრებაზე, მეცნიერების, მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, კულტურის სხვადასხვა დარგების საბჭოთა გამოცდილებაზე, მოეწყობა საბჭოთა ხელოვნების მთელი რიგი საღამოები.

მიმდინარეობს მზადება საბჭოთა ფილმის ფესტივალისათვის. მაყურებელი ნახავს უნგრულ ენაზე დუბლირებულ ახალ საბჭოთა კინოსურათებს.

უნგრეთ-საბჭოთა კავშირის საზოგადოება პროვინციაში აწყობს „მუსიკის კვირეულს“.

—⊙—

პოლონეთის მშრომელები რუსულ ენას სწავლობენ

ვარშავა, 9 თებერვალი. (საკდესი). პოლონეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების მთავარ გამგეობასთან გაიმართა სრულიად პოლონეთის თათბირი, მიძღვნილი რუსული ენის სწავლებისადმი. როგორც თათბირზე აღინიშნა, პოლონეთის საზოგადოებრიობის ფართო წრეები უდიდეს ინტერესს იჩენენ რუსული ენის შესწავლისადმი. 1952 წელს პოლონეთში მუშაობდა რუსული ენის შემსწავლელი 7.367 კურსები, სადაც სწავლების პირველი წლის ბოგრამით მეცადინეობდა 125 ათასამდე მშრომელი. გარდა ამისა, პოლონეთში სწავლების მეორე წლის პროგრამით მუშაობდა ექვსი ათასამდე კურსები.

რუსული ენის შესწავლის შემდეგ ახლა ბევრნი კითხულობენ საბჭოთა პოლიტიკურ, მხატვრულ და ტექნიკურ ლიტერატურას. ქალაქ პშევორსკის (ვეშუვის სავოევოდო) ბაგურის ქარხანაში მოეწყო რუსული ენის შემსწავლელი წრე, რომლის მსმენელებმაც, წაიკითხეს რა საბჭოთა ბროშურა საბჭოთა სტახანოველ დუკანოვის მეთოდით ბაგურის ჩქარი გამოწვის შესახებ, გადაწყვიტეს თავიანთ ქარხანაში გამოეყენებინათ ეს გამოცდილება. ამის შედეგი ის იყო, რომ ძველმა ქარხანამ, რომელსაც წინათ არასოდეს არ შეუსრულებია გეგმა, 1952 წელს 110 პროცენტით შეასრულა გეგმა და მნიშვნელოვანი რაოდენობით დაზოგა ქვანახშირი. სოფელ კროკოვში (ოლშტინსკის სავოევოდო) რუსული ენის კურსების მსმენელები გაეცნენ საბჭოთა შრომებს აგრობიოლოგიის საკითხებზე და წარმატებით გამოიყენეს მოწინავე საბჭოთა მეცნიერების გამოცდილება პრაქტიკულ მეშობაში ზეთოვანი კულტურების თესვისა და ბალახთესვის დროს. ასეთი მაგალითი ბევრია.

პროპაგანდისტისა და აგიტატორის დასახმარებლად

ლენინ—სტალინის პარტია საბჭოთა საზოგადოების ხელმძღვანელი და წარმმართველი ძალაა

საბჭოთა ხალხმა კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის გზაზე უდიდეს ისტორიულ გამარჯვებებს მიაღწია და თვალნათლივ დაანახვა მსოფლიოს ხალხებს ამ ახალი საზოგადოების აშენების შესაძლებლობა და აუცილებლობა არა მარტო საბჭოთა კავშირში, არამედ მთელ მსოფლიოში. ასეთი გამარჯვების მოპოვება უზრუნველყო იმან, რომ საბჭოთა ხალხს განუხრელად ხელმძღვანელობს ლენინ—სტალინის პარტია, რომელიც მომწიფებული ეკონომიკური და პოლიტიკური პირობების ბრძნული გათვალისწინებით წარმართავს ხალხის მთელ ძალებს კომუნიზმისაკენ.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია არის თანამოაზრე კომუნისტების ნებაყოფლობითი მებრძოლი კავშირი ორგანიზებული მუშათა კლასის, მშრომელი გლეხობისა და მშრომელი ინტელიგენციის ადამიანებისაგან. იგი ჩვენი საზოგადოების წევრთა ყველაზე მოწინავე, ყველაზე მებრძოლი და ყველაზე აქტიური ნაწილია.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მიერ განვლილი გზა, რომელიც სამი რევოლუციის—1905 წლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული, 1917 წლის თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული და 1917 წლის ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის ისტორიას წარმოადგენს, სრულ და ნათელ წარმოდგენას იძლევა ასეთი ახალი ტიპის პარტიის აღმოცენების ისტორიული აუცილებლობის შესახებ. კომუნისტური პარტიის გმირული ისტორია მკაფიო სურათს იძლევა ამ პარტიის ისტორიულ როლსა და მნიშვნელობაზე სოციალისტური საზოგადოების აშენების საქმეში.

ახლა, როდესაც საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას ნახევარსაუკუნოვანი ისტორია აქვს, ყველასათვის ცხადია ამ პარტიის უდიდესი ძალა, ყველასათვის გასაგებია, რომ თუ პროლეტარიატს არ ეყოლებოდა ასეთი ავანგარდი, იგი ვერ შეძლებდა ძალაუფლების მოპოვებას და კაცობრიობის განვითარების ახალი გზით წარმართვას. ისტორიიდან ვიცით, რომ პარიზის კომუნის დამარცხება უმთავრესად იმით აიხსნება, რომ პარიზის პროლეტარიატს არ ჰყავდა თავისი საკუთარი პარტია და ბრძოლის გადამწყვეტ მომენტში იგი სწორი პოლიტიკური ხელმძღვანელობის გარეშე დარჩა. ამან გამოიწვია პარიზის კომუნართა მიერ დამყარებული ძალაუფლების სისუსტე და განაპირობა მისი დამარცხება.

რუსეთის მუშათა კლასს, რომელსაც პარიზის კომუნის გაკვეთილით დიდი ისტორიული გამოცდილება ჰქონდა მიღებული, კაპიტალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში სათავეში ედგა ლენინისა და სტალინის მიერ შექმნილი და გამოწრთობილი პარტია. ეს იყო დიდი ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვების ერთ-ერთი მთავარი პირობა. ლენინ—სტალინის პარტიას უნარი ჰქონდა გადამწყვეტ იერიშზე წაეყვანა მშრომელთა მასები და ერთ რევოლუციურ ნაკადად გაეერთიანებინა ისეთი სხვადასხვაგვარი რევოლუციური მოძრაობანი, როგორიც იყო „...საერთო-დემოკრატიული მოძრაობა ზავისათვის, გლეხურ-დემოკრატიული მოძრაობა მემამულეთა მიწების ხელში ჩაგდებისათვის, ჩაგრული ხალხების ნაციონალურ-განმათავისუფლებელი მოძრაობა ნაციონალური თანასწორუფლებიანობისათვის და პროლეტარიატის სოციალისტური მოძრაობა ბურჟუაზიის დამხობისათვის, პროლეტარიატის დიქტატურის დამყარებისათვის“ (საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორია. მოკლე კურსი, გვ. 277).

ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური პარტია მმართველი პარტიაა. იგი ჩვენი საზოგადოების ზედნაშენში შემავალი მნიშვნელოვანი პოლიტიკური ორგანიზაციაა, რომელიც მუშათა კლასის, მშრომელი გლეხობისა და მშრომელი ინტელიგენციის პოლიტიკურ შეხედულებებს გამოხატავს. კომუნისტური პარტია საწარმოო ძალების ხასიათთან წარმოებით ურთიერთობათა სავალდებულო შესაბამისობის ობიექტურ კანონზე დაყრდნობით წარმართავდა სოციალისტური საზოგადოების მშენებლობას, ხოლო ახლა საბჭოთა სახელმწიფოს შემოქმედებითს მოღვაწეობას წარმართავს ჩვენი საზოგადოების თანდათანობით გადასაყვანად სოციალიზმიდან კომუნიზმში.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პოლიტიკა ჩვენი საზოგადოების სასიცოცხლო საფუძველია. ეს იმას ნიშნავს, რომ პოლიტიკა, რომელსაც ჩვენი პარტია თანმიმდევრულად ახორციელებს, მხოლოდ და მხოლოდ ამ საზოგადოების უშუალო ინტერესებიდან გამომდინარეობს. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პოლიტიკა სწორია, რადგან ის ჩვენი საზოგადოების მატერიალური ცხოვრების განვითარების მოთხოვნებს ასახავს. იგი ეყრდნობა მარქსისტულ-ლენინურ თეორიას, რომელიც ერთადერთი მეცნიერებაა საზოგადოებრივი განვითარების კანონების შესახებ.

ამხანაგი სტალინი გვასწავლის: იმისათვის, რომ „პროლეტარიატის პარტიას შესაძლებლობა ჰქონდეს ზემოქმედება მოახდინოს საზოგადოების მატერიალური ცხოვრების პირობებზე და დააჩქაროს ამ პირობების განვითარება, დაიჩქაროს მათი გაუმჯობესება, იგი უნდა დაეყრდნოს ისეთ საზოგადოებრივ თეორიას, ისეთ საზოგადოებრივ იდეას, რომელიც სწორად ასახავს საზოგადოების მატერიალური ცხოვრების განვითარების მოთხოვნილებებს და რომელსაც ამის გამო შესწევს უნარი აამოძრაოს ხალხის ფართო მასები, შესწევს უნარი დარაზმოს ისინი და შექმნას მათგან პროლეტარული პარტიის დიადი არმია, რომელიც მზად არის გააცამტვეროს რეაქციული ძალები და გზა გაუკაფოს საზოგადოების მოწინავე ძალებს“ (იქვე, გვ. 152).

მარქსიზმ-ლენინიზმი გვასწავლის, რომ იდეები გადაიქცევიან მატერიალურ ძალად, როცა ისინი მასებს დაეუფლებიან. სწორედ ასეთ მატერიალურ ძალას წარმოადგენს მარქსიზმ-ლენინიზმის დიადი იდეები, რომლებითაც შეიარაღებულია კომუნისტური პარტია. ეს იდეები, რომლებიც მარქს—ენგელს — ლენინ — სტალინის დიად მოძღვრებას შეადგენენ, მთელ კაცობრიობას უნათებენ მსოფლიო ცივილიზაციის განვითარების გზას.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის როლი, როგორც ხელმძღვანელი და წარმმართველი პარტიისა, უაღრესად დიდია. პარტიის XVII ყრილობაზე ამხანაგმა სტალინმა მკაფიოდ დაასაბუთა პრინციპული განსხვავება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის, როგორც მმართველი პარტიის მოღვაწეობასა და კაპიტალისტური ქვეყნების ბურჟუაზიული პარტიების მუშაობას შორის.

„შეხედეთ ჩვენს გარშემო მყოფ ქვეყნებს, — ამბობდა ამხანაგი სტალინი, — განა ბევრს ნახავთ მმართველ პარტიებს, რომლებსაც ჰქონდეთ სწორი ხაზი და რომლებიც ატარებდნენ მას ცხოვრებაში? ნამდვილად რომ ითქვას, ახლა ასეთი პარტიები არც არიან ქვეყნად, რადგან ყველა ისინი ცხოვრობენ უპერსპექტივოდ, გზა ებნევათ კრიზისის ქაოსში და ვერ ხედავენ გზებს იმისათვის, რომ თავი დაღწიონ ჭაობს. მხოლოდ ჩვენმა პარტიამ იცის, საით წაიყვანოს საქმე, და წინ მიჰყავს იგი წარმატებით“ (თხზ., ტ. 13, გვ. 398-399).

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია ხელმძღვანელობს და წარმართავს მშრომელთა მასობრივი ორგანიზაციების — პროფკავშირების, საბჭოების, კოოპერაციის, კომკავშირის მუშაობას, ამ ორგანიზაციების საშუალებით პარტია მჭიდრო კავშირში იმყოფება მასებთან. კომუნისტური პარტია იმისათვის არის საბჭოთა საზოგადოების ხელმძღვანელი და წარმმართველი ძალა, რომ იგი პირველ რიგში არის მუშათა კლასის ორგანიზებული ავანგარდი, საბრძოლო შტაბი, მისი პოლიტიკური ბელადი. კომუნისტურ პარტიას რკინისებური დისციპლინა აქვს. პარტიის ორგანიზებულობა წარმოადგენს მის ერთ-ერთ ნიშანდობლივ თვისებას, რომლის შედეგად მან კანონიერად დაიმკვიდრა საბჭოთა საზოგადოების ხელმძღვანელის სახელი.

ორგანიზებულობა და თავის რიგებში მტკიცე დისციპლინის განუხრელი გატარება საშუალებას აძლევს პარტიას მუდამ იყოს ისტორიული ვითარების მიერ შექმნილი ამოცანების გადასაჭრელად მზადყოფნის მდგომარეობაში, წარმართოს ჩვენი სახელმწიფოს საქმიანობა ამ ამოცანების წარმატებით განსახორციელებლად.

კომუნისტური პარტია ამავე დროს არის მუშათა კლასის კლასობრივი ორგანიზაციის უმაღლესი ფორმა. მისი დიქტატურის იარაღი. ყველა ამ ნიშანდობლივმა თვისებამ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია მშრომელთა ფართო მასების მშობლიურ პარტიად გახადა.

ჩვენი პარტიის ძალასა და სიმტკიცეს განაპირობებს მისი მჭიდრო და განუყოფელი კავშირი მშრომელთა მასებთან. ეს გასაგებია, რადგან ჩვენი პარტია მოწოდებულია უხელმძღვანელოს მშრომელთა ფართო მასებს მათს ბრძოლაში კომუნისტური საზოგადოების აშენების გზაზე. პარტია, თუ მას სურს მშრომელთა მასების ინტერესების ნამდვილი გამომხატველი იყოს, შეუნელებლად, განუწყვეტლივ უნდა აფართოებდეს და განამტკიცებდეს ხალხთან კავშირს და ყველგან, ყოველ ელემენტში წინ უძღოდეს მასებს. სწორედ ასეთი პარტია არის საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია — ჩვენი ეპოქის გონების, პატიოსნებისა და სინდისის განსახიერება.

კომუნისტური პარტია, რომელიც თავის მოღვაწეობაში ქმედითად აყენებს კრიტიკისა და თვითკრიტიკის ძლიერ იარაღს, ერთდროულად ასწავლის მასებს და კიდევაც სწავლობს მათგან. „...ბოლშევიკები, — ამბობს ამხანაგი სტალინი, — მოგვაგონებენ ბერძნული მითოლოგიის გმირს, ანთეოსს. ისინიც, ისევე, როგორც ანთეოსი, ძლიერნი არიან იმით, რომ კავშირი აქვთ თავის დედასთან, მასებთან, რომლებმაც ისინი შობეს, გამოჰკვებეს და გამოზარდეს. და სანამ მათ კავშირი აქვთ თავის დედასთან, ხალხთან, მათ ყველა შანსი აქვთ იმისა, რომ უძლეველნი დარჩნენ“. (საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორია. მოკლე კურსი, გვ. 472).

კომუნისტური პარტიისა და მშრომელთა ფართო მასების ურთიერთ თანამშრომლობის დადასტურებას წარმოადგენს საბჭოთა საზოგადოების განვითარების მთელი ისტორია.

ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში არ მოიპოვება არცერთი ისტორიული მომენტი, როცა პარტიას მისთვის ჩვეული სიბრძნით არ შეეფასებინოს ამა თუ იმ ვითარების მნიშვნელობა და ამასთან თანაბარი უნარითა და ენერგიით არ ჩასდგომოდეს სათავეში ქვეყნის წინაშე წამოჭრილი ამოცანების გადაწყვეტის საქმეს.

სამოქალაქო ომისა და უცხოეთის სამხედრო ინტერვენციის პერიოდში კომუნისტურმა პარტიამ ხელში აიღო ქვეყნის თავდაცვის ორგანიზაციის საქმე და ჩვენი ქვეყანა სამხედრო ბანაკად, მტრისთვის მიუვალ სიმაგრედ გადააქცია. ჩაფუშულ იქნა უცხოეთის ინტერვენციისა და რუსეთის ბურჟუაზიულ - მემამულურ - თეთრგვარდიული კონტრრევოლუციის შეერთებული ძალების ავანტიურები, — მტერი სასტიკად იქნა განადგურებული.

სახალხო მეურნეობის აღდგენისათვის მშვიდობიანი მუშაობის პერიოდი ჩვენს ქვეყანაში აღინიშნა კომუნისტური პარტიის ენერგიული მუშაობით ომისაგან დანგრეული მეურნეობის აღსადგენად, რისთვისაც პარტიას უაღრესად დიდი სიძნელეების გადალახვა მოუხდა. შემდეგ პარტიამ გეზი აიღო ქვეყნის სოციალისტური ინდუსტრიალიზაციისაკენ. პარტიამ მუშათა კლასისა და მშრომელი გლეხობის სასიცოცხლო ინტერესების უზრუნველსაყოფად საფუძველი ჩაუყარა მძიმე ინდუსტრიის გაშლილ მშენებლობას, გააჩაღა მილიონობით მშრომელთა შორის სოციალისტური შეჯიბრება, რამაც ახალი მძლავრი შრომითი აღმავლობა გამოიწვია. ამ ისტორიული მნიშვნელობის პოლიტიკის გატარება ადვილი საქმე არ იყო, რადგან სოციალიზმის ძლევამოსილი მშენებლობის ფრონტზე მიღწეული ყოველი წარმატება კლასობრივი წინააღმდეგობის გაძლვავებას იწვევდა. პარტიამ, საბჭოთა ხალხმა ურთიერთ მჭიდრო კავშირში ისტორიულ გამარჯვებებს მიაღწიეს.

ათეულ მილიონობით წვრილმესაკუთრული გლეხური მეურნეობის მსხვილ, კოლექტიურ, სოციალისტურ მეურნეობაზე გადაყვანა სოციალისტური რევოლუციის უძნელეს ამოცანას შეადგენდა. კოლექტივიზაციის პოლიტიკის გატარება იყო „...უღრმესი რევოლუციური გადატრიალება, ნახტომი საზოგადოების ძველი თვისობრივი მდგომარეობიდან ახალი თვისობრივი მდგომარეობისაკენ, რომელიც თავისი შედეგებით 1917 წლის ოქტომბერში მომხდარი რევოლუციური გადატრიალების თანაბარი მნიშვნელობისა იყო“ (იქვე, გვ. 396).

პარტიამ გლეხთა მილიონიანი მასების პირდაპირი მხარდაჭერის შედეგად წარმატებით გადაწყვიტა ეს დიდმნიშვნელოვანი ამოცანა. როგორც ინდუსტრიალიზაციის, ისე კოლექტივიზაციის პოლიტიკის გატარება კლასობრივი მტრის წინააღმდეგობას იწვევდა. პარტიისა და ხალხის მტრები — უცხოეთის კაპიტალის დაქირავებული აგენტები — ტროცკისტ-ბუხარინელები ათასგვარ ფანდებს მიმართავდნენ, რათა ჩაეშალათ კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ღონისძიებები, რომლებიც მიმართული იყო სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის პოლიტიკის განსახორციელებლად. მაგრამ ჩვენმა პარტიამ დიდი სტალინის ბრძნული ხელმძღვანელობით გაანადგურა ყველა მტერი და წაიყვანა სოფლის მეურნეობა კოლექტივიზაციის გზით.

პარტიის ხელმძღვანელობით ჩვენს ქვეყანაში სტალინური ხუთწლედების მანძილზე სოციალისტური საზოგადოების მშენებლობამ სრულ გამარჯვებას მიაღწია. სახალხო მეურნეობის ყველა სფეროში გაიმარჯვა სოციალისტურმა სისტემამ. ეს ლენინ — სტალინის დიადი პარტიის პოლიტიკის ზეიმია.

სოციალისტური საზოგადოების მშენებლობის დამთავრებისა და სოციალიზმიდან კომუნიზმში თანდათანობით გადასვლის პროგრამის განხორციელება, რომელიც პარტიის XVIII ყრილობამ დასახა, დროებით შეაჩერა ჩვენს ქვეყანაზე გერმანელ ფაშისტთა ავანტიურმა თავდასხმამ. გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ სამამულო ომის მრისხანე წლები საბჭოთა საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი წყობილების გამოცდის წლები იყო. ომის დაწყების პირველი დღიდანვე ლენინ — სტალინის პარტიამ საბჭოთა ხალხის მთელი ძალები წარმართა ფაშისტი ჯაჭიჭამიების წინააღმდეგ ბრძოლისაკენ. პარტიამ ხალხს გამარჯვების გარდუვალობის რწმენა ჩაუნერგა და მთელი ჩვენი ძალები მტრის დამარცხების ამოცანებს დაუმორჩილა.

აფასებდა რა პარტიის ორგანიზაციულ მუშაობას დიდ სამამულო ომში, ამხანაგი ი. ბ. სტალინი მოხსენებაში ოქტომბრის რევოლუციის 26 წლისთავის შესახებ ამბობდა: „სამამულო ომის დღეებში პარტია ჩვენს წინაშე წარმოსდგა, როგორც ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ საყოველთაოსახალხო ბრძოლის სულისჩამდგმელი და ორგანიზატორი. პარტიის ორგანიზატორულმა მუშაობამ გააერთიანა და საერთო მიზნისაკენ წარმართა საბჭოთა ადამიანების მთელი ღონისძიებანი, მტრის განადგურების საქმეს დაუმორჩილა მთელი ჩვენი ძალები და საშუალებანი. ომის განმავლობაში პარტია კიდევ უფრო შეესისხლხორცა ხალხს, კიდევ უფრო მჭიდროდ დაუკავშირდა მშრომელთა ფართო მასებს“ (საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომის შესახებ, გვ. 133).

სამამულო ომის ძლევამოსილად დამთავრების შემდეგ საბჭოთა ხალხმა პარტიის ხელმძღვანელობით გაბალა უდიდესი მუშაობა სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების ომისშემდგომი სტალინური ხუთწლედის ვადამდე შესასრულებლად. პარტიის განუხრელმა და დაუღალავმა ხელმძღვანელობამ საბჭოთა ხალხს სრული საშუალება მისცა წარმატებით შეესრულებინა ომისშემდგომი სტალინური ხუთწლედი.

ამხანაგმა მალენკოვმა საანგარიშო მოხსენებაში პარტიის XIX ყრილობაზე მოგვცა სრული და ნათელი სურათი პარტიის გიგანტური ორგანიზატორული მუშაობისა უკანასკნელი 12 წლის განმავლობაში. ომისშემდგომი განვლილი პერიოდი იყო ჩვენი ქვეყნის წინსვლის პერიოდი პარტიის XVIII ყრილობის მიერ დასახული გზით, სოციალიზმიდან კომუნიზმში თანდათანობით გადასვლის გზით.

პარტიის XIX ყრილობამ, რომელიც უმნიშვნელოვანეს ნიშანსვეტს წარმოადგენს ლენინ — სტალინის პარტიის გმირულ ისტორიაში, ჩვენი საზოგადოების განვითარების ისტორიაში, დასახა კომუნიზმის მშენებლობის პერსპექტივები.

„ამჟამად, — აღნიშნულია პარტიის ახალ წესდებაში, — საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მთავარი ამოცანები ის არის, რომ ააშენოს კომუნისტური საზოგადოება სოციალიზმიდან კომუნიზმში თანდათანობით გადასვლის გზით, განუწყვეტლივ ამაღლოს საზოგადოების მატერიალური და კულტურული დონე, ზარდოს საზოგადოების წევრები ინტერნაციონალიზმისა და ყველა ქვეყნის მშრომელებთან ძმური კავშირის დამყარების სულისკვეთებით, ყოველნაირად განამტკიცოს საბჭოთა სამშობლოს აქტიური თავდაცვა მისი მტრების აგრესიული მოქმედებისაგან“.

დიდმა სტალინმა თავისი გენიალური ნაშრომით „სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში“, დაგვისახა კომუნიზმის აშენების ამოცანები, განსაზღვრა კომუნიზმში გადასვლის გზები და პირობები. ამხანაგ სტალინის ეს ნაშრომი საფუძვლად დაედო პარტიის XIX ყრილობის გადაწყვეტილებებს. იგი საფუძვლად დაედება პარტიის ახალ პროგრამას.

XIX ყრილობამ საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას ამოცანად დაუსახა სულ უფრო მეტად ზარდოს საზოგადოების წევრები ინტერნაციონალიზმისა და ყველა ქვეყნის მშრომელებთან ძმური კავშირის დამყარების სულისკვეთებით. იმისათვის, რომ შესაძლებელი გახდეს პროლეტარული ინტერნაციონალიზმის ნიადაგზე ყველა ქვეყნის მშრომელთა ძმური კავშირის შემდგომი განვითარება, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია და ჩვენი მოძმე პარტიები კიდევ უფრო განამტკიცებენ ისტორიულად ჩამოყალიბებულ მეგობრობას და ურთიერთმხარდაჭერის დიად ტრადიციებს, რომლებიც ამ პარტიებს შორის აღმოცენდნენ საბჭოთა სოციალისტური სახელმწიფოს შექმნის პირველი დღეებიდანვე.

კომუნიზმის დიდმა ხუროთმოძღვარმა ამხანაგმა სტალინმა თავის ისტორიულ სიტყვაში პარტიის XIX ყრილობაზე დასახა მოძმე კომუნისტური პარტიების საბრძოლო პერსპექტივები და გაშლილი სამოქმედო პროგრამა, მთელი სიღრმით დაახასიათა ასეთი კავშირის უდიდესი მნიშვნელობა.

ჩვენ ვცხოვრობთ ისეთ ეპოქაში, როცა განვითარების ყველა გზა კომუნიზმისაკენ მიემართება. ამ წარმატებებით გაფფთრებული მსოფლიო რეაქციული ძალები ყოველმხრივ ცდილობენ ხელი შეუშალონ ისტორიის კანონზომიერ მსვლელობას. ამ მიზნით ისინი ჩვენს სახელმწიფოში აგზავნიან თავიანთ დაქირავებულ აგენტებს, ჯაშუშებს, მკვლელებს, დივერსანტებს. ამიტომ პარტია კომუნისტებს, მშრომელ მასებს ავალებს იჩენდნენ პოლიტიკურ სიფხიზლეს ყოველ უბანზე და ყოველ ვითარებაში, გადაჭრით ებრძოდნენ უდარდელობას და დოყლაპიობას.

თავისი მშობლიური პარტიის ხელმძღვანელობით, ლენინის დროშით, სტალინის წინამძღოლობით, საბჭოთა ხალხი ააშენებს კომუნიზმს.

ზ. რატიანი,
იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი.

მზადება ადგილობრივი საბჭოების არჩევნებისათვის

აგიტპუნქტი ამ დღეებში

ხალისიანი, აქტიური მუშაობაა № 22 საარჩევნო უბნის აგიტპუნქტში. იგი მოთავსებულია საქართველოს კიროვის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის შენობაში. აქ მოსული ამომრჩევლები ისმენენ ლექციებს, საუბრებს საინტერესო საკითხებზე. კლუბში ხშირად ეწყობა კონცერტები, კინოსეანსები. ამ აგიტპუნქტის (გამგე სოფიო სამხარაძე) 42 აგიტატორი ნაყოფიერ მუშაობას ეწევა. კვირაში ორჯერ აწყობენ საგიტაციო საუბრებს დიასახლისებთან, 14 წრეში გულდასმით ასწავლიან არჩევნების დებულებას და პარტიის XIX ყრილობის მასალებს.

ამას წინათ საინტერესო ლექციები გაიმართა. დოცენტმა პ. თავხელიძემ ამომრჩეველთათვის წაიკითხა ლექცია თემაზე: „საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის წესდება“, დოცენტმა მ. კუბლაშვილმა — „სოციალიზმიდან კომუნიზმში თანდათანობით გადასვლის გზების შესახებ“, ასისტენტმა ნ. ბულისკერიამ — „საბჭოთა კონსტიტუცია მსოფლიოში ყველაზე დემოკრატიული კონსტიტუციაა“ და სხვ.

აგიტატორმა თამარ ფაჩუაშვილმა მოაწყო ამომრჩეველთა ექსკურსია ავლაბრის რესტავრირებულ სტამბაში, ქეთევან ჭუბაბრიამ ამომრჩეველები წაიყვანა ლენინის მუზეუმში. ამომრჩევლები კოლექტიურად დაესწრნენ მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრში გამართულ კონცერტს. ენერგიულად მუშაობენ აგიტატორები ა. ფესვიანიძე, მ. ხარაბაძე, ვ. ტუღუში და სხვები. მათ თავიანთ საგიტაციო უბნებში უკვე გამოუშვეს კედლის გაზეთის სამი ნომერი.

აგიტპუნქტში გამოვიდა კედლის გაზეთის ოთხი ნომერი. გაზეთებში აქტიურად მონაწილეობენ დიასახლისები.

მრავალფეროვანი მუშაობა მიმდინარეობს ამ საარჩევნო უბანში. უბნის ამომრჩევლები სიხარულით ემზადებიან ადგილობრივი საბჭოების არჩევნებისათვის. აქ თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატობაზე კენჭს იყრის დიდი სტალინის თანამებრძოლი, გამოჩენილი სახელმწიფო მოღვაწე ლავრენტი პავლეს-ძე ბერია.

ამ დღეებში აგიტპუნქტში თემაზე — საარჩევნო სისტემა ჩვენში და კაპიტალისტურ ქვეყნებში, საუბარი ჩაატარა პოლიტექნიკური ინსტიტუტის დოცენტმა, აგიტატორმა თამარ ყაზახაშვილმა.

აგიტატორმა კონკრეტული მაგალითებით გასაგებად დაახასიათა საბჭოთა საარჩევნო სისტემის უაღრესად დემოკრატიული ბუნება, კომუნისტებისა და უპარტიოების სტალინური ბლოკის სიმტკიცის წყაროები. იქ, კაპიტალისტურ ქვეყნებში კი, — განაგრძო აგიტატორმა, — ლაპარაკიც კი ზედმეტია ნამდვილ დემოკრატიაზე. არჩევნების დროს ბურჟუაზია მიმართავს მშრომელთა მოტყუების ყოველგვარ ხერხს. მშრომელებს დახშული აქვთ არჩევნებში მონაწილეობის ყველა გზა, ფეხქვეშ არის გათელილი მათი უფლებები.

შემდეგ აგიტატორმა გაახსენა მსმენელებს დიდი სტალინის სიტყვა პარტიის XIX ყრილობაზე: „წინათ ბურჟუაზია თავს ნებას აძლევდა ლიბერალობა გამოეჩინა, ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ თავისუფლებებს იცავდა და ამით პოპულარობას იქმნიდა ხალხში. ახლა ლიბერალიზმისაგან კვალიც აღარ დარჩენილა. აღარ არის ეგრეთწოდებული „პიროვნების თავისუფლება“, პიროვნების უფლებებს ახლა მხოლოდ იმათთვის ცნობენ, ვისაც კაპიტალი აქვს, ყველა დანარჩენი მოქალაქენი კი ითვლებიან ადამიანთა ნედლ მასალად, რომელიც გამოსადეგია მხოლოდ ექსპლოატაციისათვის. გათელილია ადამიანთა და ერთა თანასწორუფლებიანობის პრინციპი, იგი შეცვლილია ექსპლოატატორული უმცირესობის სრულუფლებიანობისა და მოქალაქეთა ექსპლოატირებული უმრავლესობის უუფლებობის პრინციპით. ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ თავისუფლებათა დროშა გადაგდებულია“.

აგიტატორის საუბარს დიდი ყურადღებით უსმენდნენ ამომრჩევლები. შემდეგ აგიტატორმა დაწვრილებით ილაპარაკა იმ უდიდეს ამოცანებზე, რომლებიც დასახულია ჩვენი ქვეყნის წინაშე პარტიის XIX ყრილობის გადაწყვეტილებებით, მეხუთე ხუთწლედით. მან მოიყვანა ციფრები და ფაქტები, თუ როგორ განვითარდა ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობა ომისშემდგომ წლებში, და ამომრჩევლებს გააცნო ძირითადი ციფრობრივი მონაცემები იმის შესახებ, თუ როგორ განვითარდება შემდგომ ჩვენი სამშობლო ახალ ხუთწლედში.

დეპუტატი, — დაასკვნა აგიტატორმა, — ხალხის მსახურია. მშრომელებმა ადგილობრივი საბჭოების დეპუტატობის კანდიდატებად დაასახელეს მოწინავე ადამიანები. ეჭვი არ არის, არჩევნების დღეს — 22 თებერვალს ამომრჩევლები ერთსულოვნად მისცემენ ხმას თავიანთ ღირსეულ კანდიდატებს და ამით ხმას მისცემენ ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის მშენებლობის საქმეს, ლენინ—სტალინის საქმეს, ხმას მისცემენ მთელ მსოფლიოში მშვიდობის საქმეს.

ამით დაამთავრა თავისი საუბარი აგიტატორმა თამარ ყაზახაშვილმა. საუბარმა ამომრჩეველთა დიდი კმაყოფილება გამოიწვია.

ნ. ჯანჯღავა.

ნიჭიერი ახალგაზრდა მსახიობი

1942 წელი... სამამულო ომის მრისხანე დღეები... დიდ განსაცდელში იყო ჩვენი ქვეყანა. მტერი უტევდა სტალინგრადს, კავკასიონის დათოვლილ უღელტეხილებს, მაგრამ შეუძლებელი იყო საბჭოთა ადამიანების ნებისყოფისა და გამარჯვებისადმი რწმენის გატეხა. საბჭოთა ხალხი სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლას ეწეოდა და ამავე დროს ფიქრობდა და ზრუნავდა მშვიდობიან მომავალზე — მუშავდებოდა ხორბლისა და ვაზის ახალი ჯიშები, სხვადასხვა ავადმყოფობათა საწინააღმდეგო პრეპარატები, მზადდებოდა ახალგაზრდა კადრები მომავალი მშენებლებისა, მეცნიერებისა და ხელოვნების მუშაკებისა...

ამ მძიმე დღეებში თბილისს ესტუმრნენ მოსკოვის სამხატვრო თეატრის გამოჩენილი მსახიობები. ძვირფასი სტუმრების პატივსაცემად თეატრალური ინსტიტუტის სტუდენტებმა თავიანთი ძალებით დადგეს ბრონშტეინის პიესა „ციფერი და ვარდისფერი“. ახალგაზრდა კოლექტივის გულწრფელმა და უნარიანმა თამაშმა ალტაცებაში მოიყვანა სტუმრები. სპექტაკლის დამთავრებისას სტუმრებს შორის მყოფი სსრ კავშირის სახალხო არტისტი ვ. კაჩალოვი აღფრთოვანებული ავიდა სცენაზე, სულითა და გულით მიულოცა ახალგაზრდებს წარმატება და ბოლოს ბლუმას როლის შემსრულებელი ქალიშვილის წინ შეჩერდა.

— ეს... ეს კი პირდაპირ საუცხოოა! — წამოიძახა მან და ქებით დარცხვენილ ქალიშვილს შუბლზე ეამბორა.

ეს ქალიშვილი მედეა ჩახავა იყო, მაშინ თბილისის თეატრალური ინსტიტუტის III კურსის სტუდენტი.

ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ, 1944 წელს მედეა ჩახავა პირველად გამოდის თბილისის რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრის სცენაზე ს. კლდიაშვილის პიესაში „ირმის ხევი“, სადაც იგი წარმატებით ასრულებს ქართველი პატრიოტი ქალის ასმათის როლს.

მას შემდეგ ნიჭიერი ახალგაზრდა მსახიობის შემოქმედებითი დიაპაზონი შეუნელებლივ ფართოვდება. მომხიბვლელი და მაღალმხატვრულია მისი ჯენი ჯ. გოუსა და ა. დიუსონ „ღრმა ფესვებში“, უშუალობით აარულებს იგი სიცოცხლით სავსე, გულწრფელი, მაგრამ თავქარიანი ქალიშვილის ქსენიას როლს ბ. ლავრენევის „რღვევაში“, დამაჯერებელია მისი ფეფელა სუნდუკიანის „პეპოში“.

განსაკუთრებული სითბოთი და ემოციურობით ხასიათდება მედეა ჩახავას გაიანე ი. მოსაშვილის „ჩაძირულ ქვებში“. მან დაგვიხატა გულწრფელად შეყვარებული ქართველი გოგონას მიმზიდველი სახე, რომელშიც გარეგნული მომხიბვლელობა შერწყმულია შინაგან კეთილშობილებასთან. ამ როლის სწორი, რეალისტური გახსნა მსახიობს შესაძლებლობას აძლევს წარმოგვიდგინოს გაიანეს მდიდარი ადამიანური ბუნება. ნაზი, მოსიყვარულე გურჯი გოგონა გაიანე-ჩახავა გადამწყვეტ მომენტში გვევლინება როგორც მაღალი პატრიოტული შეგნების მქონე ადამიანი და თავისი სპეტაკი გრძნობების დამცველი ქალი.

ამ სცენიური სახის საუკეთესოდ შესრულებისათვის მედეა ჩახავას 1950 წელს სტალინური პრემია მიენიჭა.

არა მარტო პიესის მთავარი მოქმედი პირების, არამედ მეორეხარისხოვანი პერსონაჟების სცენიურ სახეთა შექმნაშიც არ ღალატობს თავის თავს მედეა ჩახავა. ამ მხრივ აღსანიშნავია მისი დაშა პ. მალიარევსკის პიესაში „ქარიშხლის წინ“, რომელიც ამჟამად იდგმება რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრში. მოახლე გოგონას დაშას სახეს მსახიობი ოსტატურად გადმოგვცემს დამახასიათებელ შტრიხებით.

თეატრის კოლექტივი აფასებს მედეა ჩახავას არა მარტო როგორც ნიჭიერ ახალგაზრდა მსახიობს, არამედ აგრეთვე როგორც აქტიურ კომკავშირელსა და გულისხმიერ ამხანაგს. ამიტომ იყო, რომ რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრის კოლექტივმა მედეა ჩახავა ერთხმად დაასახელა მშრომელთა დეპუტატების ბერიას რაიონული საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად. ეჭვი არ არის, იგი გაამართლებს ამ დიდ ნდობას.

ა. კუსტავშვილი.

როგორ მოიყვანეს ჰექტარზე 102,2 ცენტნერი ყურძენი

მეეენახეობის განვითარებაში დიდი მნიშვნელობა აქვს მოწინავეთა გამოცდილების გავრცელებას, მათს დანერგვას კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, ყოველ ბრიგადასა და რგოლში.

მოწინავეა მუკუზნის საბჭოთა მეურნეობის (გურჯაანის რაიონი) რგოლი, რომელსაც სოციალისტური შრომის გმირი ვ. გეთიაშვილი ხელმძღვანელობს. ამ რგოლმა 1950 წელს საშუალოდ ჰექტარზე 90 ცენტნერი ყურძენი მოიყვანა, 1951 წელს — 128,4, ხოლო შარშან, მიუხედავად არახელსაყრელი ამინდისა, — 102,2 ცენტნერი.

როგორ აღწევს გეთიაშვილი ყურძნის მაღალი მოსავლის მიღებას? ამ კითხვაზე ნათელ პასუხს გვაძლევს მისი მუშაობის გამოცდილება. მერგოლურმა პირველ რიგში ყურადღება მიაქცია სიმეჩხრის წინააღმდეგ ბრძოლას. კარგი მოვლის პირობებში რქაწითელის ჯიშის ვაზი ფილოქსერას უკეთ უძლებს. ამიტომ მერგოლურმა მეჩხერი ადგილების შესავსებად ვაზის გადაწიდვნას მიმართა. ხნიერ ვაზებს მთლიანად აწვენს, ახალგაზრდა და დაუზიანებელი შტამბიდან კი რქის გადაწიდვნას მიმართავს. ამ მიზნით ზაფხულშივე, ფურჩქვნის დროს, შტამბისძირა ნაწილზე იგი არჩევს გადასაწიდ რქას და აკრავს მავთულზე. ასეთი ვაზის ძირიდან წინასწარ თხრის 40 სანტიმეტრის სიღრმის და 50 სანტიმეტრის სიგანის არხს. არხში გადაწიდვნას ზამთარში და ადრე გაზაფხულზე ახდენს, ისე, რომ რქას არ აზიანებს. გადაწიდნულ რქას ბოლო ორ კვირტს უტოვებს. მას ზაფხულის განმავლობაში გულმოდგინედ უვლის. ასეთი წესით გაზრდილი ვაზი ხშირად მეორე წელსვე სრულმოსავლიანი ხდება.

ნიადაგის მაღალხარისხოვანი დამუშავებითა და სასუქების რაციონალური გამოყენებით რგოლმა თანდათანობით გააძლიერა ვაზი. იგი პირველად ვაზს გასხვლისას ერთ სანაყოფე და ერთ სამამულე რქას უტოვებდა, შემდეგ კი ქართული ორმხრივი ფორმირების წესით გასხვლა გამოიყენა. ამით ვაზის დატვირთვა ერთიორად გადიდდა. გალონიერებულ ვაზებს შემდეგ წელს ეს აღარ აკმარა და ახლა თვითეულ ძირს ხშირად 3-4 სანაყოფე რქას უტოვებს. რქების ერთ ნაწილს პირველ მავთულზე აკავებს, დანარჩენს კი — მეორე მავთულზე.

ყვარლის კოლმეურნეობა „კუდიგორაში“ 7 წელია, რაც 1,8 ჰექტარ ვენახს კოლმეურნე ფ. ვარამაშვილი უვლის. წინათ კოლმეურნეობაში ვაზის სხვლის მოძველებულ მეთოდს იყენებდნენ, თვითეულ ვაზს მხოლოდ 10-12 კვირტს უტოვებდნენ. ის დარწმუნდა, რომ ასეთი წესით ყურძნის დიდი მოსავლის მიღება შეუძლებელი იყო. მან ვაზის დატვირთვა გააღიდა: თვითეულ ვაზზე ორი სამამულე და ამდენივე სანაყოფე რქა დატოვა. ახლა ვარამაშვილი თვითეულ ვაზს მისი სიძლიერის მიხედვით, ინდივიდუალურად უდგება: თუ ვაზი ძლიერია, 4-5 სანაყოფე რქას უტოვებს, ამასთან ფართოდ მიმართავს შტამბის გაახალგაზრდავებას. ამ მიზნით ფურჩქვნის დროს ვაზზე ძლიერ ყლორტებს ტოვებს, შემდეგ კი მათ გადაბერებულის შესაცვლელად იყენებს.

ვარამაშვილისათვის მოსავლელად მიჩენილ ვენახში ნიადაგი მუდამ გაფხვიერებულია. ის მიწას წელიწადში 4-ჯერ ხნავს. განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს სასუქების გამოყენებას. შემოდგომაზე რიგთა შორის გუთნით აკეთებს ნაღარს. ნიადაგის ზედაპირზე მინერალურ სასუქს წინასწარ თანაბრად ანაწილებს.

ის ვაზის მავნებლების წინააღმდეგ სისტემატურად იბრძვის. ცნობილია, რომ ყლორტებს, ფოთოლს და მარცვალს ხშირად ცრუფარიანა აზიანებს. ასევე საშიშია ვაზის აბლაბუდის მკეთებელი ტკიპა. ორივე ეს მავნებელი შტამბის ხმელ ქერქში ბინადრობს. მოწინავე მევენახე ადრე გაზაფხულზე შტამბს ასუფთავებს, ხმელი ქერქები ვენახიდან გამოაქვს და წვავს მას. შემდეგ შტამბზე ნავთ-კირის ემულსიას წაუსვამს.

ამ ღონისძიებათა შედეგად იგი ყოველწლიურად ადიდებს ყურძნის მოსავლიანობას. შარშან მან ჰექტარზე 86 ცენტნერი ყურძენი მოიყვანა.

ვენახის ფართობის შემდგომი გადიდებისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს სანერგე მეურნეობის გაუმჯობესებას.

თელავის რაიონის კოლმეურნეობა „მოწინავეში“ ვაზის მყნობასა და სანერგეში მის გამოყვანაზე სპეციალური რგოლი მუშაობს. მას გამოცდილი კოლმეურნე მოსე კარსელიშვილი ხელმძღვანელობს. მყნობისას განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ საძირის შერჩევას. დაუზიანებელ საძირეს მჭრელი დანით აცლიან კვირტებს. სანამყენედ სპეციალურად შერჩეულ საღ კვირტებს იყენებენ. ნამყენს სათბურებში 15-17 დღეს აჩერებენ, რომლის დროსაც ნორმალურ სითბოს იცავენ.

კოლმეურნეები თავიანთ დამყნილ ვაზს სანერგეში თვითონვე რგავენ, ნამყენის გარშემო ნიადაგს ტკეპნიან და მაშინვე რწყავენ, იყენებენ წუნწუხს. ყოველი წვიმის ან მორწყვის შემდეგ ნიადაგს აფხვიერებენ. ნამყენის შეწამლვას 15-17-ჯერ ახდენენ.

შარშან აკურელმა მყნობელებმა სანერგეში დარგული ნამყენი ვაზიდან 60 პროცენტი გაახარეს, თვითონ მ. კარსელიშვილმა კი გახარების მაჩვენებელი 66 პროცენტამდე აიყვანა.

მოწინავე მევენახეთა გამოცდილება ფართოდ უნდა დავნერგოთ, გავხადოთ იგი თვითეული კოლმეურნის კუთვნილებად.

ს. ლომკაცი,
სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატი.

ს. ქოჩლაძე,
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

სამეცნიერო სესია

ცხაკაია. (საკ. კორ.). რაიონის კულტურის სახლში გაიმართა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სატყეო ინსტიტუტის გამსვლელი სამეცნიერო სესია, რომელსაც დაესწრო დაცვითი ტყეების გაშენების 160 სპეციალისტი.

მოხსენებებით გამოვიდნენ ინსტიტუტის მეცნიერი მუშაკები. დოცენტმა ი. აბაშიძემ წაიკითხა მოხსენება თემაზე „ევკალიპტის კულტურის აგროტექნიკა და მისი მნიშვნელობა დაცვითი ტყის ზოლებში“, დოცენტმა მირზაშვილმა — „აგროტექნიკის თავისებურებანი დაცვითი ტყის ზოლების გაშენებაში დასავლეთ საქართველოში“, დოცენტმა მ. ბრეგვაძემ — „დაცვითი ტყის ზოლებში ვეგეტატიურად გასამრავლებელ ტყის ჯიშთა გაშენების მეთოდები“.

მწერალთა ბრიგადა ამომრჩევლებთან

სტალინირი. (საკ. კორ.). საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის სამხრეთ ოსეთის განყოფილებამ ამომრჩეველთა მომსახურების მიზნით შექმნა მწერალთა სპეციალური ბრიგადა.

ამას წინათ ბრიგადამ, რომელსაც ახალგაზრდა პოეტი რევაზ ასაევი ხელმძღვანელობს, სტალინირის რაიონის კოსტა ხეთაგუროვის სახელობის კოლმეურნეობაში მოაწყო მხატვრული საღამო, რომელზეც პოეტებმა და მწერლებმა წაიკითხეს თავიანთი ნაწარმოებები.

მწერალთა ბრიგადა ლიტერატურულ საღამოებს გამართავს ზნაურსა და ლენინგორში.

უსინათლოთა საზოგადოებაში

ორი ათასამდე წევრს აერთიანებს საქართველოს უსინათლოთა საზოგადოება. უსინათლოთა შორის ბევრი სამამული ომის ინვალიდია. დღეს ეს ადამიანები ნაყოფიერ შრომას ეწევიან საზოგადოების მიერ შექმნილ საწარმოთა საამქროებში, ხელმძღვანელობენ მთელ რიგ სამუშაოებს.

რესპუბლიკის უსინათლოთა საზოგადოებას აქვს საწარმოო კომბინატები თბილისში, რაიონებში, სადაც ამზადებენ მაღალხარისხოვან ფეხსაცმელს, ჩანთებს, პარკებს, კალათებს, ქსოვენ ტრიკოტაჟს, კუსტარულ მაღეუღს; საზოგადოებას აქვს აგრეთვე მოსათუთიებელი, სატვიფრავი და შემფუთავი სახელოსნოები, ზეთსახდელი და ხე-ტყის ქარხნები.

ამ საწარმოთა მუშებს შორის 131 სტახანოველი და მრავალდაზგოსანია. თვითეული მათგანი დავალებას 150-200 პროცენტით ასრულებს. მაღალნაყოფიერი შრომით გამოირჩევიან ალექსანდრე მეფარიძე, დავით ლოიცერი, მარგალიტა თურქაშვილი და სხვ. გასული წლის საწარმოო დავალება საქართველოს უსინათლოთა საზოგადოების საწარმოებმა 105 პროცენტით შეასრულეს.

ნაყოფიერად მუშაობს უსინათლოთა საზოგადოების განათლების სახლი-კლუბი, ბიბლიოთეკა ბრაილის შრიფტიანი ლიტერატურით. საზოგადოებას ბახმაროში აქვს სანატორიული ტიპის დასასვენებელი სახლი. ასეთივე სახლის მშენებლობა მიმდინარეობს ციხისძირში. ახალი საწარმოო კომბინატისა და სახლის მშენებლობა განზრახულია თბილისში, ჭიათურასა და სხვა ქალაქებში.

ამ დღეებში თბილისის ბერიას სახელობის კლუბში შედგა საქართველოს უსინათლოთა საზოგადოების მესამე ყრილობა. მოკლე შესავალი სიტყვით ყრილობა გახსნა საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის მინისტრმა ამბ. გ. ელესაბედაშვილმა. საანგარიშო პერიოდში მუშაობის შესახებ მოხსენება გააკეთა საქართველოს უსინათლოთა საზოგადოების პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ამხ. ვ. ძნელაძემ. კამათში მონაწილეობა მიიღო 20-მდე დელეგატმა. ყრილობამ მიიღო სათანადო გადაწყვეტილება.

სრულიად ჩინეთის სახალხო პოლიტიკური საკონსულტაციო საბჭოს კომიტეტის მეთხუთმეტე სესია

მაო ძე-დუნის გამოსვლა

პეკინი, 8 თებერვალი. (საკდესი). სინხუას სააგენტო გადმოგვცემს:

7 თებერვალს გაიმართა სრულიად ჩინეთის სახალხო პოლიტიკური საკონსულტაციო საბჭოს კომიტეტის მეთხუთმეტე სესიის საბოლოო სხდომა.

სხდომაზე მიღებულ იქნა რეზოლუცია, რომელიც მთლიანად იწონებს ჯოუ ენ-ლაის პოლიტიკურ მოხსენებას.

სხდომაზე მიღებულ იქნა რეზოლუცია, რომელიც იწონებს სრულიად ჩინეთის სახალხო პოლიტიკური საკონსულტაციო საბჭოს კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილის ჩენ შუ-ტუნის მოხსენებას სრულიად ჩინეთის სახალხო პოლიტიკური საკონსულტაციო საბჭოს კომიტეტის ბიუროს მუშაობის შესახებ. სესიამ დაავალა ბიუროს მოამზადოს ჩინეთის სახალხო პოლიტიკური საკონსულტაციო საბჭოს მეორე პლენარული სესიის მოწვევა და დაადგინა გააფართოოს სრულიად ჩინეთის სახალხო პოლიტიკური საკონსულტაციო საბჭოს მუდმივი კომიტეტის ბიუროს შემადგენლობა — შეიყვანოს მასში 23 ახალი წევრი.

სხდომაზე მიღებულ იქნა აგრეთვე რეზოლუცია, რომელშიც გამოთქმულია მტკიცე მხარდაჭერა ხალხთა მშვიდობის დაცვის კონგრესის დოკუმენტებში ჩამოყალიბებული მოთხოვნებისადმი.

სხდომის მონაწილეებმა ჩინელ სახალხო მოხალისეებს გაუგზავნეს მისასალმებელი დეპეშა, რომლითაც აღუთქვეს, რომ ხელს შეუწყობენ მათს გმირულ ბრძოლას სრულ გამარჯვებამდე.

სხდომის დახურვის წინ სიტყვა წარმოთქვა თავმჯდომარემ მაო ძე-დუნმა. მაო ძე-დუნს არაერთხელ შეაწყვეტინეს სიტყვა მქუხარე ტაშით. მან მოიწონა მოხსენებები, განხილვის მთელი მიმდინარეობა და რეზოლუციები, რომლებიც სესიამ მიიღო, მიულოცა სესიის მონაწილეთ სესიის მუშაობის წარმატებით დამთავრება და აღნიშნა სამი გადაუდებელი ამოცანა, რომლებიც დასახულია ჩინელი ხალხის წინაშე:

„ჯერ ერთი, გავაძლიეროთ ბრძოლა „ამერიკის აგრესიისადმი წინააღმდეგობისათვის და კორეისადმი დახმარებისათვის“. ეს ბრძოლა უნდა გაძლიერდეს, რამდენადაც ამერიკის იმპერიალიზმი დაჟინებით მოითხოვს ჩინელი და კორეელი სამხედრო ტყვეების დაკავებას, ფუშავს მოლაპარაკებას დაზავების შესახებ და გააფთრებით ცდილობს გააფართოოს აგრესიული ომი კორეაში. ჩვენ გვსურს მშვიდობა. მაგრამ, სანამ ამერიკის იმპერიალიზმი უარს არ იტყვის თავის ქედმაღლურ და დაუსაბუთებელ მოთხოვნებზე და აგრესიის გაფართოების თავის გეგმაზე, ჩინელი ხალხის ერთადერთი გადაწყვეტილება უნდა იყოს ბრძოლის განგრძობა კორეელ ხალხთან ერთად. ეს იმას არ ნიშნავს, რომ ჩვენ ომი მოგვწონს. ჩვენ გვსურს დაუყოვნებლივ შეწყდეს ომი, ხოლო გადაუწყვეტელი საკითხების მოწესრიგება შემდეგისათვის გადაიდოს. მაგრამ ამერიკის იმპერიალიზმი ამჯობინებს ასე არ მოიქცეს. რას იზამ, მაშინ ჩვენ განვაგრძობთ ბრძოლას. რამდენ წელსაც უნდა აპირებდეს ამერიკის იმპერიალიზმი ომის წარმოებას, ჩვენ მზადა ვართ ვებრძოლოთ მას, ვებრძოლოთ მანამდე, სანამ ამერიკის იმპერიალიზმი უკან არ დაიხევს, მანამდე, სანამ ჩინელი და კორეელი ხალხები არ მიაღწევენ სრულ გამარჯვებას.

მეორე, ვისწავლოთ საბჭოთა კავშირისაგან. ჩვენ განზრახული გვაქვს განვახორციელოთ დიდი ეროვნული მშენებლობა. სამუშაო, რომელიც ჩვენ უნდა შეავასრულოთ, ძნელია, და ჩვენი გამოცდილება საკმარისი არ არის. ამიტომ ჩვენ გულდასმით უნდა შევისწავლოთ საბჭოთა კავშირის მოწინავე გამოცდილება. მიუხედავად იმისა, თუ ვინა ვართ — კომპარტიის წევრები თუ არაწევრები, კადრის ძველი თუ ახალგაზრდა მუშაკები, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკები, ინტელიგენტები, მუშები თუ გლეხები, — ჩვენ ყველამ მთელი გულწრფელობით უნდა ვისწავლოთ საბჭოთა კავშირისაგან. ჩვენ უნდა ვისწავლოთ არა მარტო მარქსის, ენგელსის, ლენინისა და სტალინის თეორია, არამედ აგრეთვე საბჭოთა კავშირის მოწინავე მეცნიერება და ტექნიკა. იმისათვის, რომ ავაშენოთ ჩვენი ქვეყანა, საბჭოთა კავშირისაგან სწავლის საქმე საერთოეროვნული მასშტაბით უნდა მოვაწყოთ.

მესამე, უნდა ვებრძოლოთ ბიუროკრატიზმს ჩვენს ხელმძღვანელ ორგანოებში და ყველა კატეგორიის ხელმძღვანელ კადრის მუშაკთა შორის. ამჟამად ბევრ ძირეულ ორგანიზაციას და ძირეულ კადრის მუშაკებს ემჩნევათ ადმინისტრირების, კანონებისა და დისციპლინის დარღვევის საკმაოდ სერიოზული ნიშნები. ამ მოვლენის წარმოშობა და ზრდა განუყრელად დაკავშირებულია ბიუროკრატიზმთან ხელმძღვანელ ორგანოებში და ხელმძღვანელ კადრებს შორის. ავიღოთ მთავრობის ცენტრალური ორგანოები. აქაც კი ბევრი ხელმძღვანელი კადრები ბევრ განყოფილებაში ჯერ კიდევ სჯერდებიან იმას, რომ იფარგლებიან თავისი დაწესებულებით და ადგენენ გადაწყვეტილებებსა და დირექტივებს. ისინი ყურადღებას აქცევენ მხოლოდ იმას, რომ მოამზადონ და ჩაბარონ სამუშაო; ყურადღებას არ აქცევენ იმას, რომ მივიდნენ რიგითს მუშაკებთან, გამოარკვიონ ვითარება და შეამოწმონ მუშაობის მსვლელობა. ამიტომ მათს ხელმძღვანელობას მუდამ მოსდევს მასებისაგან იზოლაცია და სინამდვილისაგან მოწყვეტა.

ამის შედეგად ჩვენს მუშაობაში წარმოიშობა ბევრი სერიოზული პრობლემა. თუ გვსურს განვახორციელოთ ჩვენი ფართო ეროვნული მშენებლობა, უნდა დავძლიოთ ბიუროკრატიზმი და ეფექონიოთ მჭიდრო კავშირი მასებთან. ყველა კატეგორიის მთელი ხელმძღვანელი კადრები ცენტრალურ და ადგილობრივ მთავრობებში ყოველთვის უნდა მიდიოდნენ რიგითს მუშაკებთან, რათა შეამოწმონ მუშაობა. თუ ჩვენ დავძლიეთ ხელმძღვანელი ორგანოებისა და ხელმძღვანელი კადრების ბიუროკრატიზმი, უეჭველად დავძლევთ ისეთ ცუდ მოვლენებსაც, რომლებსაც ეხდებით ძირეულ მუშაკებში, როგორიც არის ადმინისტრირება და კანონებისა და დისციპლინის დარღვევა. თუ ჩვენ აღმოვფხვრით ამ ნაკლოვანებებს, ჩვენი ქვეყნის გეგმიანი მშენებლობა, უეჭველია, წარმატებით დაგვირგვინდება, ჩვენი სახალხო-დემოკრატიული სისტემა, უეჭველია, კიდევ უფრო განვითარდება, იმპერიალიზმის ინტრიგები, უეჭველია, ჩაიფუშება და ჩვენ, უეჭველია, მივაღწევთ სრულ გამარჯვებას!“.

ქიმ ირ სენს მიენიჭა კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მარშლის წოდება

ფხენიანი, 7 თებერვალი. (საკდესი). ფხენიანის რადიომ დღეს გადასცა კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მარშლის წოდების მინიჭების შესახებ.

ფხენიანი, 7 თებერვალი. (საკდესი). კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის უმაღლესი სახალხო კრების პრეზიდიუმის ბრძანებულება კორეის სახალხო არმიის უმაღლესი მთავარსარდლის ამხანაგ კიმ ირ სენისათვის კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მარშლის წოდების მინიჭების შესახებ.

ფხენიანი, 7 თებერვალი. (საკდესი). კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის უმაღლესი სახალხო კრების პრეზიდიუმის ბრძანებულებით სახალხო არმიის მეხუთე წლისთავთან დაკავშირებით კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის ეროვნული თავდაცვის მინისტრს ამხანაგ ცოი ენ გენს მიენიჭა კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის ვიცე-მარშლის სამხედრო წოდება.

მუსიკალური ხელოვნების აღმავლობისათვის

ხუთი წლის წინათ, 1948 წლის 10 თებერვალს, საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო დადგენილება ვ. მურადელის ოპერის „დიადი მეგობრობის“ შესახებ. პარტიამ მკაცრად გააკრიტიკა მუსიკაში ფორმალისტური მიმართულება, როგორც ანტიხალხური, საბჭოთა ხალხისათვის უცხო მიმართულება, რომელიც მუსიკალურ კულტურას დეგრადაციას უქადდა. ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის ამ ისტორიულმა დადგენილებამ, აგრეთვე ამხ. ჟდანოვის გამოსვლამ პარტიის ცენტრალურ კომიტეტში გამართულ საბჭოთა მუსიკის მოღვაწეების თათბირზე საბჭოთა მუსიკას, საბჭოთა მუსიკოსებს უაღრესად სერიოზული ამოცანები დაუსახა და შემდგომი განვითარებისა და აღმავლობის ნათელი გზა გადაუშალა. ეს არის რეალიზმისა და ხალხურობის გზა. „ჩვენს ქვეყანაში, — აღნიშნულია დადგენილებაში, — კომპოზიტორებს მინიჭებული აქვთ განუსაზღვრელი შემოქმედებითი შესაძლებლობანი და შექმნილი აქვთ ყველა საჭირო პირობა მუსიკალური კულტურის ნამდვილი აყვავებისათვის. საბჭოთა კომპოზიტორებს ჰყავთ ისეთი აუდიტორია, როგორიც წარსულში არც ერთ კომპოზიტორს არასოდეს არ ჰყოლია. შეუწყნარებელი იქნებოდა, რომ კომპოზიტორებს არ გამოეყენებინათ მთელი ეს მდიდარი შესაძლებლობანი და თავიანთი შემოქმედებითი ღონისძიებანი არ წარემართათ სწორი რეალისტური გზით“.

ბედნიერებაა იყო საბჭოთა მუსიკოსი, საბჭოთა ხელოვანი. თვითეული ახალი კარგი ფილმის, ახალი მაღალმხატვრული პოემისა თუ სიმფონიის, ოპერისა თუ ბალეტის გამოჩენა, ღირსშესანიშნავი საბჭოთა არქიტექტურული ნაგებობის დამთავრება თუ ახალი სანაოსნო და სარწყავი არხის ამუშავება უსაზღვრო სიხარულითა და სიამაყის გრძნობით აღაესებს საბჭოთა ადამიანების გულს. ჩვენმა პარტიამ დროულად მიუთითა კომპოზიტორიებს — გაეთვალისწინებინათ თავიანთ შემოქმედებაში ხალხის ეს მაღალი და გაზრდილი მოთხოვნილებები. საბჭოთა მუსიკოსებმა პარტიის მითითება მიიღეს უღრმესი შეგნებითა და კმაყოფილებით როგორც პროგრამა ჩვენი მუსიკალური ფრონტის სოციალისტური რეალიზმის გზით წარმართვისათვის, ჩვენი მუსიკალური კულტურის შემდგომი აღმავლობისათვის. პარტიის ბრძნული მითითებების თანმიმდევრულმა განხორციელებამ ფორმალიზმის, დეკადენტურ-მოდერნისტული სკოლების გავლენებს საბჭოთა მუსიკაში თანდათან ბოლო მოუღო. უფრო მეტიც, უკანასკნელი წლების მანძილზე საბჭოთა კომპოზიტორების მიერ შექმნილი სიმფონიური, კამერული და ვოკალური მუსიკის საუკეთესო ნაწარმოებებმა მოიპოვეს ჩვენი ხალხის საყოველთაო აღიარება და ფართო პოპულარობა ჩვენი სამშობლოს ფარგლებს გარეთაც.

საბჭოთა მუსიკის რეალისტური სკოლის დიდ გამარჯვებად შეიძლება ჩაითვალოს ისეთი მაღალმხატვრული, ნოვატორული ნაწარმოებების შექმნა, როგორიც არის შოსტაკოვიჩის ორატორია „სიმღერა ტყეებზე“, მიასკოვსკის 27-ე სიმფონია, არუთინიანის „კანტატა სამშობლოზე“, კაბალევსკის, დვარიონასისა და ა. მაჭავარიანის საგიოლინო კონცერტები, მაკაროვის საგუნდო სიუიტა „დევგმირი მდინარე“, მუხატოვის სიმფონიური პოემა „ჩემი სამშობლო“, ს. ცინცაძის კვარტეტები და პიესები ჩელოსათვის, ამიროვის სიმფონიური მუგამი, ო. თაქთაქიშვილის სიმფონია და კონცერტი ფორტეპიანოსათვის, ნ. გუდიაშვილის კვინტეტი და სონატინა და სხვ.

მსოფლიოს თითქმის ყველა კუთხეში, ხალხთა მრავალ ენაზე გაისმის საბჭოთა კომპოზიტორების საუკეთესო სიმღერები დიდ სტალინზე, მშვიდობაზე, ახალგაზრდობაზე, ხალხთა შორის მეგობრობაზე. საბჭოთა მუსიკალურ შემოქმედებაში მტკიცედ მკვიდრდება ხალხურობა. ამიტომ ხდება იგი ხალხისათვის საყვარელი, მთელ მსოფლიოში ესოდენ პოპულარული.

ხელმძღვანელობენ რა პარტიის ბრძნული მითითებებით, ქართველი კომპოზიტორები მოძმე რესპუბლიკების კომპოზიტორებთან ერთად თვალსაჩინო შემოქმედებითს აქტივობას იჩენენ. კამერულ და ინსტრუმენტალურ ჟანრში არც ისე დიდი ხნის წინათ საგრძნობლად ჩამორჩენილი ქართული მუსიკალური კულტურა დღეს მოწინავე ხდება. ამის ცხადი მაგალითია ტრადიციული დათვალიერებები, რომლებიც საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ისტორიული დადგენილების შემდეგ ყოველწლიურად იმართება ჩვენი რესპუბლიკების დედაქალაქებში, აგრეთვე კომპოზიტორთა კავშირის პლენუმები, რომლებიც მოსკოვში იმართება. ამ დათვალიერებებსა და პლენუმებზე, სადაც ყველა რესპუბლიკიდან შერჩეულ მუსიკალურ ნაწარმოებთა კონკურსია, ქართველი კომპოზიტორები წარმატებით გამოდიან. ისეთი ნაწარმოებების გამოჩენა, როგორიც არის ა. ბალანჩივაძის საფორტეპიანო კონცერტი ბავშვებისათვის, ა. მაჭავარიანის საგიოლინო კონცერტი, ა. ჩიმაკაძის კანტატა „ქართლის გული“. ო. თაქთაქიშვილის სიმფონია და საფორტეპიანო კონცერტი, ს. ცინცაძის კვარტეტები, საკვარტეტო მინიატიურები და პიესები ჩელოსათვის და ზოგიერთი სხვა ნაწარმოებები არა მარტო ქართული მუსიკის, არამედ მთელი საბჭოთა მუსიკალური კულტურის გამარჯვებაა. ამ ნაწარმოებთა უმრავლესობა აღინიშნა უმაღლესი ჯილდოთი — სტალინური პრემიებით.

გასული წლის დეკემბერში მოწყობილმა ქართული მუსიკის დათვალიერებამ კიდევ ერთი ახალი სიტყვა თქვა ქართულ მუსიკალურ ხელოვნებაში. დაწინაურდა კომპოზიტორთა ახალი თაობა ა. ჩიმაკაძის, ა. შავერზაშვილის, რ. ლაღიძის, ო. გორდელის სახით, რომელთა ნაწარმოებებიც გამოირჩევიან მკაფიო ინდივიდუალობით, ფორმის დახვეწილობით, სახოვანებით, ოსტატობით და, რაც მთავარია, თორმასთან შინაარსის ჰარმონიული შერწყმით. ამ მხრივ სასიხარულო მოვლენას წარმოადგენს ა. ჩიმაკაძის შესანიშნავად დაწერილი ოთხნაწილიანი კანტატა „ქართლის გული“ (შექმნილია გ. ლეონიძის ცნობილი ეპოპეის — „სტალინი. ბავშვობა და ყრმობის“ მიხედვით). კანტატა მსმენელს იპყრობს თავისი იდეურ-მხატვრული სიღრმით, ფორმის სისადავით და მუსიკის კეთილშობილებით.

მიუხედავად ამისა, მუსიკის დარგში ჯერ კიდევ საგრძნობი ნაკლოვანებანი გვაქვს. ჩვენი მუსიკალური ხელოვნების დიდი ხარვეზია ის, რომ, მიუხედავად წარსულის კარგი ტრადიციებისა, ჩვენ ჯერ კიდევ ვერ შეგვქმენით თანამედროვე პროგრამული მუსიკა. ჩვენ არა გვაქვს ღირსეული პროგრამული ნაწარმოებები ჩვენს ახალ სოციალისტურ ქალაქ რუსთავზე, სამგორზე, თბილისზე, ქუთაისზე, სუხუმზე, სოციალისტური შრომის გმირებზე, წარმოების ნოვატორებზე, სამამულო ომის გმირებზე. ჩვენმა პრესამ და საზოგადოებრიობამ უნდა გააამახვილონ კომპოზიტორთა და მწერალთა ყურადღება ამ მიმართულებით, რათა მწერლებმა შექმნან კარგი ლიბრეტო, ხოლო კომპოზიტორებმა — კარგი მუსიკალური ნაწარმოებები ამ უაღრესად აქტუალურ თემებზე და ბოლო მოუღონ ჩამორჩენას ამ ფრიად სერიოზულ მუსიკალურ ჟანრში. ძალიან სუსტად ვითარდება ქართული მასობრივი სიმღერა — ჩვენი საბჭოთა მუსიკალური ხელოვნების ერთ-ერთი ყველაზე უფრო მოქმედი და პოპულარული ჟანრი. რუსმა საბჭოთა კომპოზიტორებმა მრავალი საუკეთესო ახალი სიმღერები შექმნეს. მათ მღერიან კორეელი პატრიოტები, სახალხო დემოკრატიული ქვეყნების ახალგაზრდები, ფრანგი დოკერები და მსოფლიოს მრავალი სხვა ქვეყნის უბრალო ადამიანები. ქართველი კომპოზიტორები ჯერჯერობით ვერ ახერხებენ ასეთი ორიგინალური სიმღერების შექმნას; ჩვენ არა გვაქვს არც ერთი კარგი პოპულარულ-მასობრივი კომკავშირული სიმღერა, გარდა ო. თაქთაქიშვილის სიმღერისა — „მზად ვართ მარად!“. არა გვაქვს არც ფიზკულტურული, არც საჯარისო სიმღერები, ხოლო თუ გვაქვს, მეტად პრიმიტიული, ინტონაციურად შეზღუდული. ყველას უგრძვნია, მაგალითად, ჩვენს საზეიმო დემონსტრაციებზე ქართული მასობრივი სიმღერების ნაკლებობა. ამ საქმეს საქართველოს კომპოზიტორთა კავშირი და მისი მასობრივი სიმღერების სექცია ნაკლებ ყურადღებას აქცევენ.

საბჭოთა კომპოზიტორების წინაშე დასახულია ფრიად საპატიო და სასახელო ამოცანა — თანამედროვე საბჭოთა ოპერის — საბჭოთა ხალხისათვის ამ ყველაზე საყვარელი ჟანრის — განვითარება, რუსული კლასიკური ოპერის სიმაღლემდე აყვანა. უკანასკნელი წლების მანძილზე შეიქმნა და ჩვენი სამშობლოს საოპერო თეატრების სცენებზე დაიდგა მრავალი ახალი ოპერა: ი. მეიტუსის „ახალგაზრდა გვარდია“, დ. კაბალევსკის „ტარასის ოჯახი“, რომლებიც წარმოადგენენ წინ გადადგმულ ნაბიჯს დიდი კლასიკური საბჭოთა ოპერის შექმნის გზაზე. დაიდგა აგრეთვე ლ. სტეპანოვის „ივანე ბოლოტნიკოვი“, ა. ბუკიას „დაუპატიჟებელი სტუმრები“, გ. ერნესაქსის „ქარიშხალთა ნაპირი“, ა. სტეპანიანის „გმირი ქალი“, გ. ეუკოვსკის „მთელი გულით“, კ. დანკევიჩის „ბოგდან ხმელნიცკი“ და სხვ. მაგრამ ზოგიერთ ამ ოპერას საგრძნობი ნაკლოვანებები აქვს. მაგალითად, ოპერების „მთელი გულით“ და „ბოგდან ხმელნიცკის“ ავტორებმა გ. ეუკოვსკიმ და კ. დანკევიჩმა ვერ გააკეთეს დასკვნა ჩვენი პარტიის მითითებებიდან და მაყურებელს, მსმენელს მიაწოდეს არასრულყოფილი საოპერო ნაწარმოებნი. ქართველი კომპოზიტორები მეტად ჩამორჩებიან საოპერო ჟანრში. კომპოზიტორთა წარუმატებლობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიზეზს წარმოადგენს მაღალმხატვრული, სრულყოფილი ლიბრეტოს უქონლობა. კარგი ლიბრეტოს შექმნისათვის უნდა იზრუნონ ჩვენმა მწერლებმა, საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირმა. შეუძლებელია ოპერის წარმატებაზე ლაპარაკი, თუ კომპოზიტორს ხელთ არ ექნება ნამდვილი დრამატული ნაწარმოები თავისი მძაფრი სიუჟეტით, ცხოვრების მართლად ასახვით. უკონფლიქტო, ყოველგვარ დრამატულ ხერხემალს მოკლებული, ჩვენი სინამდვილის უფერულად ამსახველი ნაწარმოებებია, მაგალითად, უკანასკნელ წლებში შექმნილი ქართული თანამედროვე ოპერები — ამ სტრიქონების ავტორის „მთების ძახილი“, ა. ბალანჩივაძის „მზია“, ა. კერესელიძის „თბილისის ვარსკვლავები“, ს. ცინცაძის „ოქროს ვერძი“ და სხვ.

ოპერა სინთეზური ხელოვნებაა და მასში შემავალი ყველა კომპონენტი — მუსიკა, ლიბრეტო, ვოკალი, მხატვრობა, ქორეოგრაფია და, ბოლოს, სპექტაკლის დადგმის საერთო განხორციელება თანაბრად უნდა ემსახურებოდეს ნაწარმოების დიდააზრს. მარტო მუსიკის ხარისხიანობა ვერ წყვეტს საოპერო სპექტაკლის წარმატების ბედს. ამის მაგალითს წარმოადგენს თუნდაც ა. ბუკიას ოსტატურად და მელოდიურად დაწერილი ოპერის „დაუპატიჟებელი სტუმრების“ წარმატების შენელება.

საბჭოთა კომპოზიტორების კავშირმა ამ ბოლო წლებში, მართალია, საგრძნობლად გამოაცოცხლა მუშაობა, მაგრამ თანამედროვე ოპერის საკითხში ოპერის თეატრსა და კომპოზიტორებს სათანადოდ ვერ დაეხმარა. მას თეატრის არც ერთი ახალი დადგმა არ განუხილავს, არ გაუკეთებია მათი ღრმა თეორიული ანალიზი, არ მოუწყვია დისკუსიები, დისპუტები და არც შემდგომი მუშაობის პრაქტიკული ღონისძიებანი დაუსახავს.

საქართველოს კომუნისტური პარტიის XV ყრილობაზე ამხ. ა. ი. მგელაძემ თქვა: „ჩვენი კომპოზიტორების წინაშე დგას პასუხსაგები ამოცანა — შექმნან ორიგინალური, მაღალმხატვრული საოპერო ნაწარმოებნი თანამედროვე თემებზე. თავიანთ შემოქ

კიმ ირ სენის მოხსენება კორეის სახალხო არმიის უმაღლეს ოფიცერთა შემადგენლობის თათბირზე

ფხენიანი, 7 თებერვალი. (საკდესი). კორეის ყველა გაზეთმა გამოაქვეყნა კორეის სახალხო არმიის მთავარსარდლის კიმ ირ სენის მოხსენება, რომელიც მან გააკეთა სახალხო არმიის უმაღლეს ოფიცერთა შემადგენლობის თათბირზე. თავის მოხსენებაში „განვამტკიცოთ სახალხო არმია“ კიმ ირ სენმა ანალიზი გაუკეთა ომის მსვლელობას, დაწვრილებით დაახასიათა აგრესიული ამერიკის არმია, აგრეთვე დაახასიათა კორეის სახალხო არმია, რომელიც ბრძოლას ეწევა ამერიკის აგრესიის წინააღმდეგ, ცხადყო, რა უდევს საფუძვლად სახალხო არმიის წარმატებებს განმათავისუფლებელ ომში და დასახა მთელი რიგი ამოცანები, რომელთა მიზანია კორეელი ხალხის შეიარაღებული ძალების, მის დემოკრატიულ მონაპოვართა დამცველის — სახალხო არმიის განმტკიცება.

შეეხო რა საზარელ ბოროტმოქმედებას, რასაც ამერიკელ აგრესორთა არმია სჩადის კორეის მიწა-წყალზე, კიმ ირ სენმა აღნიშნა, რომ ამ ბოროტმოქმედებამ არათუ ვერ გატეხა კორეელი ხალხისა და მისი არმიის მებრძოლი სული, არამედ განამტკიცა მათი გადაწყვეტილება — მიაღწიონ გამარჯვებას, დარაზმა აზიის ხალხები აგრესორებისათვის წინააღმდეგობის გასაწევად, გამოიწვია მთელი მსოფლიოს ხალხთა მასების აღშფოთება და სიძულვილი ამერიკელი აგრესორების მოქმედებისადმი, გამოააშკარავა ამერიკის მტაცებელი იმპერიალიზმის ნამდვილი სახე.

შეეხო რა კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის საბრძოლო ტექნიკის ზრდას, მომხსენებელმა აღნიშნა, რომ მთელი „იარაღი მზადდება ძირითადად ჩვენს ქარხნებში. კორეის სახალხო არმიის ყველა გვარეობის ჯარი საკმაოდ არის მომარაგებული საბრძოლო ტექნიკით, რომლითაც შეგვიძლია გაწარმოოთ ხანგრძლივი ომი.

მნიშვნელოვნად გაძლიერდა არმიის მექანიზაცია. თვითეულ მებრძოლზე გაანგარიშებით იგი 1952 წელს 1951 წელთან შედარებით ერთისამად გაიზარდა. ომის განმავლობაში გაიზარდა ჩვენი მეთაურების რიცხვი და ამაღლდა მათი საბრძოლო ოსტატობა. ჩვენ რეზერვში გვყავს ბევრი მეთაური, რომლებსაც შეუძლიათ შეავსონ კორეის სახალხო არმიის ოფიცერთა რიგები. კორეის სახალხო არმიის მეთაურთა 45 პროცენტი 1952 წელს გადამზადებულ იქნა კურსებზე და სამხედრო სკოლებში. მეთაურები აღჭურვილი არიან უკანასკნელი საბრძოლო გამოცდილების საფუძველზე მიღებული თეორიული ცოდნით. მნიშვნელოვნად ამაღლდა შტაბის ოფიცრების ოსტატობა“.

შემდეგ კიმ ირ სენი დაწვრილებით შეეხო სახალხო არმიის მეთაურთა ამოცანებს.

დარწმუნებული ვარ, დასძინა კიმ ირ სენმა, რომ ჩვენი მეთაურები შეძლებენ შეასრულონ ეს ამოცანები. ჩვენს ხალხს ჩვენი არმიის იმედი აქვს და დარწმუნებულია, რომ იგი ჯაიმარჯვებს.

კიმ ირ სენის ბრძანება კორეის სახალხო არმიის შექმნის მე-5 წლისთავის გამო

ფხენიანი, 8 თებერვალი. (საკდესი). ფხენიანის რადიომ გამოაქვეყნა კორეის სახალხო არმიის უმაღლესი მთავარსარდლის კიმ ირ სენის ბრძანება კორეის სახალხო არმიის მეხუთე წლისთავის გამო.

„დიდ განმათავისუფლებელ სამამულო ომში, — ნათქვამია ბრძანებაში, — კორეის სახალხო არმია უმაგალითო გმირობას, სიმამაცეს და პატრიოტულ თავდადებას იჩენს და უძლეველ სამხედრო ძალიერებას გვიჩვენებს. ჩვენი კორეის სახალხო არმია აღჭურვილია მძლავრი პატრიოტული იდეებით და გამსჭვალულია ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით. კორეის შრომის პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და რესპუბლიკის სახალხო მთავრობის ხელმძღვანელობით იგი თავდადებით ემსახურება სამშობლოსა და ხალხს. განმათავისუფლებელი სამამულო ომის მსვლელობაში კორეის სახალხო არმია, რომელიც ხელმძღვანელობს მოწინავე საბჭოთა სამხედრო მეცნიერებით და გმირი საბჭოთა არმიის ბრძოლის გამოცდილებით, რიცხობრივად გაიზარდა და ხარისხობრივად გაუმჯობესდა, — უფრო განმტკიცდა და გადაიქცა თანამედროვე რეგულარულ არმიად, რომელიც აღჭურვილია უახლესი სამხედრო ტექნიკით. ჩვენი სახალხო არმიის ქვეით ნაწილებთან ერთად სწრაფად იზრდება ავიაცია, არტილერია, სატანკო ნაწილები და სხვა გვარეობის ჯარები.

ჩვენი სახალხო არმია დაძაბულ საბრძოლო ვითარებაში კიდევ უფრო გამოიბრძმედა და დაეუფლა მდიდარ საბრძოლო გამოცდილებას. ჩვენმა მებრძოლებმა ისწავლეს თავიანთი იარაღის უნარიანად გამოყენება მტრის განადგურებისათვის, სავსებით დაეუფლნენ საბრძოლო ტექნიკას, წარმატებით ეწევიან ბრძოლებს სხვადასხვა პირობებში, თანამედროვე ომის ვითარებაში. ჩვენი მეთაურები ჯარების სარდლობის ნამდვილი ოსტატები გახდნენ“.

„მიუხედავად იმისა, — ნათქვამია შემდეგ ბრძანებაში, — რომ ამერიკელი აგრესორებმა კორეის სახალხო არმიისა და ჩინელ სახალხო მოხალისეთა მძლავრი დარტყმების შედეგად სერიოზული სამხედრო დამარცხებანი განიცადეს, მათ ჯერ კიდევ არ აუღიათ ხელი თავიანთ აგრესიულ ზრახვებზე და ახალ სამხედრო ავანტიურას ამზადებენ კორეასა და შორეულ აღმოსავლეთში ომის გასაფართოებლად, ფუშავენ მოლაპარაკებას დაზავების შესახებ. მაგრამ ამერიკელი ინტერვენტების ყოველგვარი ავანტიურა სამარცხვინოდ დამარცხდება.

ჩვენ ყველაფერი მოგვეპოვება მტრის საბოლოო განადგურებისათვის და აუცილებლად გავიმარჯვებთ“.

კიმ ირ სენი აღნიშნავს, რომ გმირი ჩინელი მოხალისეები თავდადებით ეხმარებიან კორეელ ხალხს მის სამართლიან ბრძოლაში, რომ მსოფლიოს ყველა მშვიდობისმოყვარე ხალხი მხარს უჭერს მებრძოლი კორეის მართალ საქმეს.

ულოცავს რა დღესასწაულს სახალხო არმიის პირად შემადგენლობას, კიმ ირ სენი მას უსახავს ამოცანებს, რომლებიც დაკავშირებულია საბრძოლო ოსტატობის შემდგომ სრულყოფასთან.

კორეის სახალხო არმიის მეხუთე წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო სხდომა ფხენიანში

ფხენიანი, 8 თებერვალი. (საკდესი). გუშინ ფხენიანში გაიმართა კორეის სახალხო არმიის მეხუთე წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო სხდომა.

პრეზიდიუმში შემოდიან მარშალი კიმ ირ სენი, კიმ დუ ბონი, პაკ ხენ ენი, პაკ დენ აი და შრომის პარტიისა და კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის სხვა ხელმძღვანელები, აგრეთვე სსრ კავშირის ელჩი და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ელჩი, რომლებსაც დამსწრენი ხანგრძლივი ოვაციით ხვდებიან.

მქუხარე ხანგრძლივი ტაშით საპატიო პრეზიდიუმში ირჩევენ გენერალისიმუს ი. ბ. სტალინს, მარშალ კიმ ირ სენს, თავმჯდომარეს მაო ძე-დუნს.

ძოხსენება სახალხო არმიის მეხუთე წლისთავის შესახებ გააკეთა კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის ეროვნული თავდაცვის მინისტრმა ვიცე-მარშალმა ცოი ენ გენმა.

მომხსენებელი ლაპარაკობს სახალხო არმიის სახელოვან საბრძოლო გზაზე, ხაზგასმით აღნიშნავს მარშალ კიმ ირ სენის თვალსაჩინო როლს კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების ორგანიზაციისა და ხელმძღვანელობაში, ანალიზს უკეთებს ამერიკელი ინტერვენტებისა და მათი ლისინმანელი ლაქიების წინააღმდეგ კორეელი ხალხის განმათავისუფლებელი სამამულო ომის მსვლელობას. სახალხო არმიის ჯარისკაცებისა და ოფიცრების მამაცობასა და გმირობას, ამბობს ცოი ენ გენი, მოწმობს ისეთი ფაქტები, როგორიც არის ბრძოლა მაღლობ 1.211-სათვის აღმოსავლეთის ფრონტზე. გასულ წელს ინტერვენტთა ჯარებმა ამ ადგილის თვითეულ კვადრატულ კილომეტრს საშუალოდ ესროლეს 527.260 ყუმბარა და დააყარეს 4.160-ზე მეტი ბომბი. მაღლობს 2.000-ჯერ ტყვიამფრქვევი დაუშინეს. მაგრამ სახალხო მეომრები — მაღლობ 1.211-ის გმირი დამცველები, კვლავ ღირსეულად იცავენ ამ რაიონს და უდიდეს ზარალს აყენებენ მოწინააღმდეგეს ცოცხალი ძალისა და ტექნიკის მხრივ. გმირობა მასობრივი მოვლენა გახდა კორეის სახალხო არმიაში, რასაც მოწმობს ის ფაქტი, რომ გვარდიის წოდება მიენიჭა სახალხო არმიის 11 შენაერთსა და ნაწილს, აგრეთვე კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის გმირის წოდება მიენიჭა 407 ჯარისკაცს, ოფიცერსა და გენერალს.

ცოი ენ გენი თავისი სიტყვის დასასრულს ლაპარაკობს ფრონტისა და ზურგის, არმიისა და ხალხის მტკიცე ურღვევ კავშირზე, კორეელი ხალხის სიყვარულზე თავისი არმიისადმი, კორეის შრომის პარტიისა და კორეელი ხალხის გამარჯვებათა ორგანიზატორის კიმ ირ სენისადმი და გამოთქვამს მტკიცე რწმენას, რომ სახალხო არმია გაამართლებს თავისი ხალხის იმედს აგრესორთა წინააღმდეგ ბრძოლაში სამშობლოს ღირსებისათვის, თავისუფლების, ერთიანობისა და დამოუკიდებლობისათვის.

სხდომაზე გამოვიდნენ ერთიანი დემოკრატიული სამამულო ფრონტის ცენტრალური კომიტეტის მისალმება.

შეკრებილები გულთბილად შეხვდნენ ჩინელ სახალხო მოხალისეთა გმირი ნაწილების წარმომადგენლის მისასალმებელ სიტყვას.

კორეის სახალხო არმიის მეხუთე წლისთავთან დაკავშირებით სახალხო არმიის წარმომადგენელმა მარშალ კიმ ირ სენს გადასცა მისასალმებელი დეპეშა.

შეკრებილებმა უდიდესი აღფრთოვანებით მიიღეს მისასალმებელი დეპეშები ი. ბ. სტალინისადმი, კიმ ირ სენისა და მაო ძე-დუნისადმი.

დროშები გადაეცა კორეის სახალხო არმიის საუკეთესო ნაწილებს

ფხენიანი, 7 თებერვალი, (საკდესი). კორეის სახალხო არმიის მეხუთე წლისთავის წინადღეს ფრონტზე ჩავიდა მშრომელთა მრავალი დელეგაცია მებრძოლებისათვის მისასალმებელი დროშების გადასაცემად.

როგორც კორეის ცენტრალური დეპეშათა სააგენტო იუწყება, კორეის შრომის პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის მისასალმებელი დროშები გადასცეს კორეის სახალხო არმიის საუკეთესო ჯარის ნაწილებს, რომლებმაც ყველაზე მეტი მამაცობა და გმირობა გამოიჩინეს ამერიკელი ინტერვენტებისა და ლი სინ მანის გამცემლური ბრძოლის წინააღმდეგ ბრძოლებში. კორეის შრომის პარტიის ცენტრალური კომიტეტის მისასალმებელი დროშა გადაეცა ქვეით ნაწილს, რომლის შემადგენლობაშიც არის კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის 300-ზე მეტი გმირი და წარჩინებული მებრძოლი და რომელმაც გასულ წელს მოსპო მტრის 20 ათასი ჯარისკაცი და ოფიცერი. კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის მისასალმებელი დროშა გადაეცა გვარდიის მე-19 საზენიტო პოლკს, რომელმაც გასულ წელს მტრის რამდენიმე ასი თვითმფრინავი ჩამოაგდო.

მისასალმებელი დროშების გადაცემის გამო გამართულ საზეიმო კრებებზე მებრძოლებმა და ოფიცრებმა ფიცით აღთქმა დადეს, რომ გაამართლებენ პარტიის, მთავრობისა და კიმ ირ სენის ნდობას, მოიპოვებენ ახალ წარმატებებს სამშობლოს ღირსებისათვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლებში.

კორეის ამბები

სახალხო არმიის მთავარსარდლობის ცნობა

ფხენიანი, 7 თებერვალი. (საკდესი). კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობის დღეს გადმოცემულ ცნობაში ნათქვამია, რომ სახალხო არმიის შენაერთები და ჩინელ სახალხო მოხალისეთა ნაწილები თავდაცვითს ბრძოლებს ეწევიან მტრის წინააღმდეგ.

ფხენიანი, 8 თებერვალი. (საკდესი). კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობის დღევანდელ ცნობაში ნათქვამია, რომ განვლილი დღის მანძილზე სახალხო არმიისა და ჩინელ სახალხო მოხალისეთა შენაერთები ყველა ფრონტზე საარტილერიო სროლას ეწეოდნენ.

გუშინ ღამით ჰაერის ამერიკელი მეკობრეები კვლავ დაესხნენ თავს ფხენიანისა და ხამხინის საცხოვრებელ უბნებს და ბარბაროსულად დაბომბეს ისინი. ამის შედეგად მოსახლეობაში არის ბევრი მსხვერპლი, დანგრეულია მრავალი სახლი და მიწური.

დღეს სახალხო არმიის საზენიტო ნაწილებმა და თვითმფრინავების გამანადგურებელმა მსროლელებმა ჩამოაგდეს მტრის სამი და დაზიანეს სამი თვითმფრინავი.

გირვანქა სტერლინგის რეალური ღირებულების შემცირება

ლონდონი, 7 თებერვალი. (საკდესი). გუშინ თემთა პალატაში ფინანსთა მინისტრმა ბატლერმა მოიყვანა ცნობები გირვანქა სტერლინგის ღირებულების შემცირების შესახებ. თუ გირვანქა სტერლინგის 1938 წლის ღირებულებას 100-ად მივიღებთ, თქვა ბატლერმა, მაშინ გირვანქა სტერლინგის ღირებულება 1945 წელს შეადგენდა 65-ს, 1952 წელს კი 44-ს, ხოლო თუ 100-ად მივიღებთ გირვანქა სტერლინგის 1945 წლის ღირებულებას, მაშინ იგი 1952 წელს 68-მდე შემცირდა.

წყალდიდობა ბელგიაში

ბრიუსელი, 7 თებერვალი. (საკდესი). პრესის ცნობებით, წყალდიდობის შედეგად ბელგიის სანაპირო რაიონებში ბევრი სოფელი ჯერ კიდევ წყალშია. კვლავ საშიში მდგომარეობაა დასავლეთ ფლანდრიის და ანტვერპენის პროვინციების პოლდერებში, განსაკუთრებით ქალაქ მელზელის, კალოსა და ლიელოს რაიონებში, სადაც წყალი კვლავ მატულობს. წყალმა აიწია აგრეთვე ანტვერპენის წალეკილ მიდამოებში.

იტალიელ მშრომელთა მოძრაობა თავიანთი უფლებების დასაცავად

რომი, 8 თებერვალი. (საკდესი). გაზეთი „უნიტა“ იუწყება, რომ 7 თებერვალს იტალიის ბევრ ქალაქში გაიმართა საპროტესტო გაფიცვები იმ რეპრესიების გამო, რომლებსაც მეწარმეები ხმარობენ საარჩევნო „რეფორმის“ კანონპროექტის წინააღმდეგ პოლიტიკური გაფიცვების მონაწილეთა მიმართ. ლეკოში (ქომოს პროვინცია) 2 საათით შეწყვიტეს მუშაობა ბევრი მანქანათმშენებელი და საფეიქრო საწარმოს მუშებმა. ნეაპოლში გაიმართა გემთსაშენი ვერფებისა და ბევრი მანქანათმშენებელი ქარხნის მშრომელთა სამი საათის გაფიცვა.

„ჩეინოლდს ნიუსი“ ამერიკელ და დასავლეთევროპელ მრეწველთა შეთანხმების შესახებ

ლონდონი, 8 თებერვალი. (საკდესი). გაზეთი „ჩეინოლდს ნიუსი“ წერს, რომ ამას წინათ ნიუ-იორკში გაიმართა ამერიკელ და დასავლეთევროპელ მრეწველთა თათბირი, რომელზეც შეიმუშავეს „მსოფლიო ბაზრებზე ერთობლივად შეტევის გეგმა. ამერიკის კრედიტები, — აღნიშნავს გაზეთი, — გაიცემა იმისათვის, რომ განვითარდეს დასავლეთ გერმანიის ექსპორტი ინდოეთში, პაკისტანში, არგენტინაში, ეგვიპტესა და მაროკოში“.

საერთაშორისო საჭადრაკო ჟურნირი ბუქარესტში

ბუქარესტი, 7 თებერვალი. (საკდესი). საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირის მეცხრე ტურში სმისლოვმა (სსრ კავშირი) მოუგო შტოლცს (შვეიცია). საბჭოთა გროსმეისტერმა პეტროსიანმა უკეთესი პარტია მიიღო, მოიგო პაიკი და აიძულა რედულესკუ (რუმინეთი) დანებებოდა 46-ე სვლაზე. ბარდამ (ნორვეგია) მოუგო სლიევას (პოლონეთი).

საბჭოთა მოჭადრაკეების ბოლესლავსკისა და ტოლუშის პარტია რთული ბრძოლის შემდეგ ყაიმით დამთავრდა. ყაიმზე შეთანხმდნენ უნგრელი მოჭადრაკეები ლ. საბო და ბარცა. ყაიმით დამთავრდა აგრეთვე ო'კელის (ბელგია) და ფილიპის (ჩეხოსლოვაკია) პარტია. გოლომბეკ (ინგლისი) — რეიხერის (რუმინეთი) პარტია გადაიდო გოლომბეკის უპირატესობით.

ხელსაყრელი მდგომარეობა აქვს ჩოკოლტიას (რუმინეთი) შაიტართან (ჩეხოსლოვაკია) გადადებულ პარტიაში. რთულ მდგომარეობაში გადაიდო მილევ (ბულგარეთი) — ტროიანესკუს (რუმინეთი) პარტია.

ბუქარესტი, 8 თებერვალი. (საკდესი). დღეს გაიმართა საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირის მე-10 ტური.

რთული, მწვავე ბრძოლის შემდეგ სპასსკი (სსრ კავშირი) — ბარცას (უნგრეთი), ბოლესლავსკი (სსრ კავშირი) — ო'კელის (ბელგია) პარტიები ყაიმით დამთავრდა. ყაიმით დამთავრდა აგრეთვე სმისლოვ (სსრ კავშირი) შ. საბოს (რუმინეთი) პარტია. ლ. საბომ (უნგრეთი) მოუგო რეიხერს (რუმინეთი). შტოლცმა (შვეიცია) სუსტი წინააღმდეგობა გაუწია რუმინელ მოჭადრაკე ჩოკოლტიას და მე-17 სვლაზე დამარცხდა.

ჩინებულად ითამაშა საბჭოთა გროსმეისტერმა პეტროსიანმა ტროიანესკუს (რუმინეთი) წინააღმდეგ, ჯერ მან შესწირა ერთი ხარისხი, შემდეგ მეორე, მაგრამ გადადებულ პარტიაში მატერიალური უპირატესობა აქვს.

მილევმა (ბულგარეთი) გადააჭარბა დროს და დამარცხება ჩაეთვალა შაიტართან (ჩეხოსლოვაკია) გათამაშებულ პარტიაში.

საბჭოთა ოსტატ ტოლუშისათვის რამდენადმე უკეთეს მდგომარეობაში გადაიდო პარტია ოსტატ რედულესკუსთან (რუმინეთი). ფილიპს (ჩეხოსლოვაკია) გადადებულ პარტიაში ზედმეტი პაიკი აქვს ბარდას (ნორვეგია) წინააღმდეგ. რთულ მდგომარეობაში გადაიდო სლიევა (პოლონეთი) — გოლომბეკის (ინგლისი) პარტია.

გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის საზეიმო-სამგლოვიარო სხდომა, მიძღვნილი ერნსტ ტელმანის ხსოვნისადმი

ბერლინი, 8 თებერვალი. (საკდესი). გუშინ კენიგს-უსტერ-ჰაუზენში (გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა) გაიმართა გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის საზეიმო-სამგლოვიარო სხდომა, მიძღვნილი ერნსტ ტელმანის ხსოვნისადმი. 20 წლის წინათ, 1933 წლის 7 თებერვალს, აქვე მიმდინარეობდა გერმანიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის არალეგალური პლენარული სხდომა, რომელზეც უკანასკნელად გააკეთა მოხსენება ერნსტ ტელმანმა.

საზეიმო-სამგლოვიარო სხდომა გახსნა გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარემ ვილჰელმ პიკმა, რომლის წინადადებით სხდომის მონაწილეებმა ფეხზე ადგომით სცეს პატივი ტელმანის ხსოვნას.

მოხსენება „ერნსტ ტელმანის ბრძოლა ომისა და ფაშიზმის წინააღმდეგ“ გააკეთა გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ვალტერ ულბრიხტმა. მომხსენებელმა დაახასიათა ტელმანის როგორც გერმანიის მუშათა კლასის ხელმძღვანელისა და გერმანელი ერის გამოჩენილი წარმომადგენლის ისტორიული როლი და ხაზგასმით აღნიშნა მისი მითითებების დიდი აქტუალური მნიშვნელობა გერმანელი ხალხის ბრძოლისათვის იმპერიალიზმის, ფაშიზმისა და ომის წინააღმდეგ, მშვიდობის, ეროვნული განთავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის. შემოიკა ულბრიხტმა აღნიშნა გერმანია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის დიდი მნიშვნელობა მუშათა კლასის მოქმედების ერთიანობისათვის, დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის ბრძოლაში.

ვალტერ ულბრიხტმა თავისი სიტყვა დაამთავრა საზეიმო აღთქმით, რომ გერმანიის მშრომელნი ერნსტ ტელმანის მაგალითისამებრ განაგრძობენ ბრძოლას ერთიანი, დემოკრატიული, მშვიდობისმოყვარე და დამოუკიდებელი გერმანიისათვის.

სხდომაზე გამოვიდნენ აგრეთვე ფრანც დალემი, გერმან მატერნი, მაქს ოპიცი.

დასასრულ გამოვიდა ვილჰელმ პიკი, რომელმაც დასავლეთ გერმანიისა და ბერლინის მუშებს მოუწოდა გააძლიერონ დასკვნა გერმანიის მუშათა კლასის 1933 წლის დამარცხებიდან და ერნსტ ტელმანის ანდერძის მიხედვით გამაჯერონ კომუნისტებ, სოციალ-დემოკრატ, ქრისტიანულ-დემოკრატიული პარტიის წევრ და უპარტიო მუშათა მოქმედების ერთიანობა.

თავრიზელი მუშების გაფიცვა

თეირანი, 8 თებერვალი. (საკდესი). როგორც გაზეთი „ბესუე აინდე“ იუწყება, გრძელდება თავრიზელი მუშების მასობრივი გაფიცვა, რომელიც დაიწყო ასანთის ქარხანა „მომთაზის“ სამი მუშის დათხოვნის წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად.

ამ დღეებში გაფიცულმა მუშებმა ქალაქში მოაწყეს დემონსტრაცია. მათ მიჰქონდათ პლაკატები წარწერებით: „სამუშაოზე დაბრუნეთ ჩვენი დათხოვნილი ამხანაგები; უზრუნველყავით პროფკავშირების თავისუფლება; ხელფასის დამტკიცებულ მინიმუმს ყველგან უნდა იძლეოდნენ; მუშები დაზღვეულ უნდა იქნან სამუშაოზე უბედური შემთხვევებისაგან, აგრეთვე ავადმყოფობისაგან, უმუშევრობისაგან და უზრუნველყოფილ იქნან მოხუცებულობაში; ლიკვიდირებულ უნდა იქნას „მე-4 პუნქტის განხორციელების ადმინისტრაციის“ ჯაშუშური ბუდე; ამერიკელო იმპერიალისტებო, ხელებს შორს ირანისაგან!“

მოედანზე, გენერალ-გუბერნატორის კანცელარიის შენობის წინ, გაიმართა მუშების მიტინგი, რომელზეც მიღებულ იქნა რეზოლუცია. რეზოლუცია შეიცავს ზემოთჩამოთვლილ მოთხოვნებს, აგრეთვე მოთხოვნას დაპატიმრებული მუშების განთავისუფლებისა და შრომის არსებული კანონის ზუსტად დაცვის შესახებ.



ბაკურიანი. საქართველოს პირველობა სათხილამურო სპორტში. სურათზე: რესპუბლიკის ჩემპიონები — ზემოთ — მ. გავა, ქვემოთ — გ. ბრიტვინა. მარჯვნივ — 10 კილომეტრზე თბილამურრბენის ერთ-ერთი მომენტი.

ფოტო ვ. გინზბურგისა.

საქართველოს XVIII პირველობა სათხილამურო სპორტში

ბაკურიანი. („კომუნისტის“ სპეც. კორ.). რესპუბლიკური ჩემპიონატის მეექვსე დღეს მძაფრი ბრძოლით ხასიათდებოდა ასპარეზობა თხილამურრბენში 50 კილომეტრზე ვაჟთათვის. სტარტის აღებიდანვე დაწინაურდა თბილისის ოლქის პირველი გუნდის წარმომადგენელი ვ. კოზანაშვილი, რომელმაც 3 საათში, 51 წუთსა და 36 წამში თანაბარი სიძლიერით გაირბინა მანძილი და მოიპოვა საქართველოს ჩემპიონის წოდება.

კარგ შედეგს მიაღწია აგრეთვე აჭარის ასსრ გუნდის სპორტსმენმა ი. მიხაილიცკიმ, რომელმაც მეორე ადგილი დაიკავა. მისი დროა 3 საათი, 55 წუთი და 58 წამი. მესამე ადგილზე გამოვიდა ა. ქუმარიტაშვილი (ქ. თბილისი — 3 საათი, 57 წუთი და 27 წამი).

30-კილომეტრიან თხილამურრბენში გაიმარჯვა ქ. თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის მოთხილამურემ ა. პირველმა, რომელმაც მანძილი გაირბინა 2 საათში, 32 წუთსა და 5 წამში, რითაც პირველი ადგილი დაიკავა.

7 თებერვალს დასკვნითს ასპარეზობაში განსაკუთრებით დიდ ინტერესს იწვევდა 70-მეტრიანი ტრამპლინიდან ხტომა.

პირველად მოთხილამურე ბ. გავა მოწყდა ადგილიდან. იგი სწრაფად ეშვება კოშკურიდან, დიდი სისწრაფით უახლოვდება ასხლეტის ადგილს და აკეთებს ლამაზ ნახტომს. შედეგი შესანშნავია, დამყარებულია საქართველოს ახალი რეკორდი, რაც 63 მეტრსა და 50 სანტიმეტრს უდრის.

აჭარის გუნდის სპორტსმენმა ბ. გავამ ორი ნახტომის ჯამით შეაგროვა 202 ქულა და ტრამპლინიდან ხტომაში მოიპოვა ჩვენი რესპუბლიკის ჩემპიონის წოდება. მეორე ადგილზე გამოვიდა კ. წაქაძე, მესამეზე — ა. ადამიანცი.

მოთხილამურე ქალთა ასპარეზობა 10-კილომეტრიან თხილამურრბენში დამთავრდა ქ. თბილისის გუნდის წარმომადგენლის გ. ბრიტვინას გამარჯვებით, რომელმაც ეს მანძილი გაირბინა 43 წუთსა და 23 წამში და საქართველოს ჩემპიონის წოდება მოიპოვა. მეორე ადგილი დაიკავა ვ. კაკიაშვილმა, მესამე — თ. დიაკონაშვილმა.

რესპუბლიკური ჩემპიონატი სათხილამურო სპორტში დამთავრდა. 7 დღის საინტერესო ასპარეზობის შემდეგ პირველ ჯგუფში საქართველოს 1953 წლის ჩემპიონის წოდება მოიპოვა თბილისის ოლქის პირველმა გუნდმა. მეორე ადგილი დაიკავა ქ. თბილისის გუნდმა, მესამე — თბილისის ოლქის მოთხილამურეთა მეორე კოლექტივმა. მეორე ჯგუფში გამარჯვებული გამოვიდა თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის გუნდი.

შეჯიბრების დამთავრების შემდეგ გამარჯვებულ გუნდებსა და სპორტსმენებს საზეიმოდ გადაეცათ გარდამავალი ჯილდო, დიპლომები და ფასიანი საჩუქრები.

ჟურნალი „მეცნიერება და ტექნიკა“ № 1

გამოვიდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მეცნიერულ-პოპულარული ჟურნალი „მეცნიერება და ტექნიკა“ № 1.

ჟურნალში მოთავსებულია მოწინავე სტატია — „ლენინის დროშით, სტალინის წინამძღოლობით წინ, კომუნიზმის გამარჯვებისაკენ!“, სტატიები ა. მუსხელიშვილისა — „ქალაქების ენერგომომარაგება“, ე. ბაგდანავიჩისა — „მსუბუქი ბეტონი ლიტოიდური პემზისაგან ჰიდროტექნიკურ ნაგებობებში“, ა. საათაშვილისა — „საქართველოს სოფლების მთლიანი რადიოფიკაციისათვის“, გ. ჩომახიძისა — „ახალი ხიდი მტკვარზე“ და სხვა მასალები.

მოკლედ

○ **ცხაკაიას რაიონში** გასულ წელს სამამულო ომის ინვალიდებს, ომში დაღუპულთა ოჯახებს და შრომის ინვალიდებს მიეცათ 3.800.482 მანეთი. მარტო ივნვრის ორ ათდღიურში გაცემული იქნა 323.354 მანეთი.

სემინარი

კეცხოველის სახელობის ბიბლიოთეკაში 10 თებერვალს საღამოს 8 საათზე შედგება დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმის შემსწავლელი წრის პროპაგანდისტთა სემინარი (სწავლების მეორე წელი). სემინარს უხელმძღვანელებს დოცენტი გ. ასათიანი.

რედაქტორის მოადგილე
ი. ნატროშვილი.

საქართველოს რადიოგადაცემათა 11 თებერვლის პროგრამა

რადიოსადგურებით 1.571 და 59,52 მეტრ ტალღებზე და თბილისის საქალაქო ქსელით: 06.45 — ქართული ხალხური სიმღერები; 09.20 — წითელდროშოვანი ანსამბლის კონცერტი; 12.15 — კონცერტი ჩაიკოვსკის ნაწარმოებებიდან; 12.45 — სომხური ხალხური სიმღერები; 17.15 — კონცერტი ახალგაზრდა შემსრულებელთა მონაწილეობით; 18.20 — კონცერტი შალიაპინის შესრულებით; 19.45 — საუბარი საერთაშორისო თემაზე; 20.30 — გადაცემა სოფლის მეურნეობის მუშაკებისათვის (რადიოსადგურებით); 20.30 — ინსტრუმენტული მუსიკის კონცერტი (ქალაქის ქსელით); 20.45 — ქართველ კომპოზიტორთა რომანსები; 21.00 — საუბარი „საბჭოთა საზოგადოების მორალურ-პოლიტიკური ერთიანობა“; 22.45 — ლიტერატურული გადაცემა; 23.05 — ნეაპოლური სიმღერები და ვალსები; 00.05 — ხელოვნების ოსტატთა კონცერტი.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი აცხადებს, რომ ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს ღია სხდომაზე ინსტიტუტის აუდიტორიაში (მელიქიშვილის ქ. № 10) მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად დისერტაციას დაიცავენ ა. წ. 24 თებერვალს დღის 3 საათზე **ნოდარ ნიკოლოზის-ძე ყიფშიძე** თემაზე: „Материалы по изучению клинической диагностики эндокардитов“.

ოფიციალური ოპონენტები — მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი პროფესორი **თ. ი მამალაძე** და მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **ი. ი. ტატიშვილი.**

3 მარტს დღის 3 საათზე **თინა პართენის ასული გოთუა** — თემაზე: **„ჩვილ ბავშვთა დისტროფიის კლინიკა კაროტინის და ასკორბინის მჟავას ცვლასთან დაკავშირებით“.**

ოფიციალური ოპონენტები — მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი **ა. ი. სიჭინავა** და მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი **ე. ა. ქუთათელაძე.**

მსურველთ შეუძლიათ გაეცნონ შრომებს სამედიცინო ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში (თარხნიშვილის ქ. № 2).

1953 წლის 10 თებერვალს, ხაღამოს 7 საათზე გაიხსნება საქართველოს ყრუ-მუნჯთა საზოგადოების მესამე მოწვევის ყრილობა

დღის წესრიგი: საქართველოს ყრუ-მუნჯთა საზოგადოების ცენტრალური გამგეობის ანგარიში, სარევიზიო კომისიის ანგარიში, ცენტრალური გამგეობისა და სარევიზიო კომისიის არჩევნები.

ყრილობა შედგება საზოგადოების ცენტრალურ კლუბში, პლეხანოვის პროსპექტი № 55.

ოპერისა და ბალეტის თეატრი

11 თებერვალს	პ. ჩაიკოვსკი—**პიკის ქალი** (ვ. ულიანოვის მონაწილეობით)
12 თებერვალს	ბ. ასაფიევი — **ბალჩისარაის შადრევანი**